კიროველები კისრულობენ: ოთხი მილიონი მანეთი — შვიდწლედის ფონდში; სპეციალური ჩარხების გამოშვება გაადიდონ ორჯერ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი № 154 (11460) | კვირა, 5 ივლისი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.



სურათზე: თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მუშები საამქროში ხაუბრობენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებების წარმატებით შესრულებისათვის საწარმოს კოლექტივის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესახებ. ფოტო ვ. გინზბურგისა.

ტექნიკური პროგრესით ახალ სივრცეებში

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივის მიმართვა რესპუბლიკის მრეწველობისა და მშენებლობის ყველა მუშაკისადმი

პირველმა ცვლამ მუშაობა დაამთავრა. ჯგუფ-ჯგუფად მოემართებიან მშრომელები საქარხნო კლუბისაკენ. აქ, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კლუბში შეიკრიბნენ ინჟინერ-ტექნიკოსები, მოწინავე მუშები, საწარმოს აქტივი. აქტივის კრება გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ დ. ნიქაბაძემ. ინფორმაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ გააკეთა პარტიული ბიუროს მდივანმა ნ. გოგელიძემ. კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ მთავარი ტექნოლოგი ვ. კოლოსოვსკი, მოწინავე ზეინკალი კ. ილურიძე, მთავარი კონსტრუქტორის მოადგილე გ. ბენდუქიძე, ნოვატორი ამწყობი შ. ფირცხალავა, მხეხავი ს. გურსკი, № 1 მექანიკური საამქროს უფროსი ა. დათებოვი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების უზრუნველსაყოფად კრების მონაწილეებმა იკისრეს ახალი ვალდებულებანი და საქართველოს სარეწველო საწარმოთა მშრომელებს მიმართეს მოწოდებით გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

• • •

ძვირფასო ამხანაგებო!

მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა შეიმუშავა ისტორიული მნიშვნელობის ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის. პლენუმმა განსაზღვრა მრეწველობასა და მშენებლობაში კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის, წარმოების ავტომატიზაციის, ნაკადური ხაზების შემოღების, მძიმე ფიზიკური მოწყობილობის, ტვიფრებისა და ინსტრუმენტების შეცვლის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შემცირების კონკრეტული ამოცანები. დასახულია აგრეთვე ამოცანები ქიმიური და საფეიქრო მრეწველობის განვითარებისათვის.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ჩვენი სამშობლოს ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, და სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის მშრომელები დიდი აღფრთოვანებითა და ახალი შრომითი აღმავლობით შეხვდნენ პლენუმის გადაწყვეტილებებს. ყველგან — ფაბრიკებსა და ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, საბჭოთა მეურნეობებში, მშენებლობებზე მთელი კოლექტივები და ცალკეული ადამიანები ფართოდ ებმებიან შეჯიბრებაში იმ დიდი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, რომლებიც პარტიამ დაუსახა ხალხს კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ნათელ გზაზე.

ჩვენ, კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მშრომელები, ერთსულოვნად ვიწონებთ და მხარს ვუჭერთ პლენუმის გადაწყვეტილებებს. შეგნებული გვაქვს მრეწველობასა და მშენებლობაში ტექნიკური პროგრესის დაჩქარებული განვითარების უდიდესი მნიშვნელობა და მოგმართავთ თქვენ, საქართველოს მრეწველობისა და მშენებლობის ყველა ინჟინერ-ტექნიკოსს, მუშას, მოსამსახურეს, უფრო ფართოდ გავაჩაღოთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის და ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

1. ქარხნის საამქროებში ახალი ტექნიკის დანერგვის, საწარმოს შემდგომი რეკონსტრუქციის გზით, აგრეთვე კომპლექსური მექანიზაციით და ავტომატიზაციით შვიდწლედის ბოლოსათვის ორჯერ გავადიდებთ სპეციალური ჩარხების გამოშვებას.

2. 1959 წლის მეორე ნახევარში ავითვისებთ და გამოვუშვებთ ახალი მოდელის მაღალი წარმადობის მილსაჭრელ, მილდამშუშავებელ, ხოლო შვიდწლედის მანძილზე ავითვისებთ 50 ახალი მოდელის უნივერსალურ ჩარხებს.

3. შრომის ნაყოფიერების ამაღლების 1965 წლისათვის დაგეგმილ დონეს მივაღწევთ 1964 წელს.

4. მიმდინარე წელს ავაწყობთ და საექსპლოატაციოდ გადავცემთ 2 შემლებავ კონვეიერს, მთლიანად ავითვისებთ 14 ტექნოლოგიური ხაზის სიმძლავრეს ჩარხ „163“-ის დეტალების მექანიკური დამუშავებისათვის.

5. ნედლეულის რაციონალური ხარჯვით, დამხმარე მასალების ეკონომიურად გამოყენებით, აგრეთვე რაციონალიზატორთა წინადადებების დანერგვით მიმდინარე წელს დავზოგავთ 1.100.000, ხოლო შვიდი წლის მანძილზე 4 მილიონ მანეთს.

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენ, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მშრომელები, ვკისრულობთ ამ ვალდებულებებს და მოგმართავთ მოწოდებით, რომ **ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის,** უფრო გაბედულად დავნერგოთ ახალი მოწყობილობა, განვახორციელოთ მოქმედი ჩარხებისა და მანქანების მოდერნიზაცია, გავაუმჯობესოთ ტექნოლოგიური პროცესები, უკეთ გამოვიყენოთ საწარმოო სიმძლავრეები და რეზერვები, ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ყველა კოლექტივმა, თვითეულმა მუშამ ენერგიული შრომით თავისი წვლილი შეიტანოს კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის დიდებული პროგრამის შესრულებაში.

მიმართვა მიღებულია თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის აქტივის კრებაზე.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის საბინაო საკითხის კომიტეტის XVIII სესიის მონაწილეები

4 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის საბინაო საკითხის კომიტეტის XVIII სესიის (რომელიც დამთავრდა ჟენევაში) მონაწილეები, რომლებიც ჩამოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში სსრ კავშირის საბინაო მშენებლობის გასაცნობად.

უცხოელი სპეციალისტები გაეცნენ საბინაო მშენებლობას კიევში, ლენინგრადსა და მოსკოვში. ისინი იყვნენ სამშენებლო მოედნებზე, სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებში, სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო ორგანიზაციებში.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან თვალსაჩინო არქიტექტორები, ინჟინრები, სამეცნიერო დაწესებულებათა ხელმძღვანელები — 18 ქვეყნის წარმომადგენლები. მათ შორის არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის სამდივნოს ხელმძღვანელი მუშაკები ა. იუინგი, ბ. რაინერი. დელეგაციას მეთაურობს კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი ვ. ჩერვენკა (ჩეხოსლოვაკია).

ნ. ს. ხრუშჩოვსა და სესიის მონაწილეებს შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ნ. ს. ხრუშჩოვი მიესალმა სტუმრებს და უპასუხა მათ შეკითხვებზე.

სესიის მონაწილეებმა გაუზიარეს მას თავიანთი შთაბეჭდილებანი სსრ კავშირის საბინაო მშენებლობის შესახებ.

ესწრებოდნენ სსრ კავშირის სახელმწიფო მშენებლობის კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ა. კუჩერენკო, მოსკოვის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. ბობროვნიკოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობის განყოფილების გამგე ი. ა. გრიშმანოვი.

ეთიოპიის იმპერატორი სტალინგრადში

სტალინგრადი, 3 ივლისი. (საკდესი). ეთიოპიის იმპერატორი ჰაილე სელასიე I, რომელიც მოგზაურობს საბჭოთა კავშირში, დღეს თავის თანამგზავრებთან ერთად სვერდლოვსკიდან სტალინგრადში ჩამოვიდა.

სტალინგრადელთა სახელით მეგობარი ეთიოპიის სახელმწიფოს მეთაურს მიესალმა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. შიპახინი.

ეთიოპიის იმპერატორმა, მიმართა რა აეროდრომზე მყოფთ, განაცხადა, რომ მას დიდ სიამოვნებას გვრის სტალინგრადში ჩამოსვლა — იმ ქალაქში, რომელზედაც ესოდენ ბევრი რამ გაუგონია. მან მადლობა გამოთქვა გულთბილი მიღებისათვის.

„ჟენმინ ჟიბაომ“ გამოაქვეყნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის სრული ტექსტი

პეკინი, 4 ივლისი. (საკდესი). გაზეთმა „ჟენმინ ჟიბაომ“ დღეს გამოაქვეყნა სრული ტექსტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 29 ივნისს „ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების შემდგომი აღმავლობისათვის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ტექნიკური პროგრესისათვის“.

გორელ ფეიქართა გაზეთი

გორი, 3 ივლისი. (საკდესი). 1 ივლისიდან გორის ბამბეულის კომბინატში გამოდის ყოველკვირეული მრავალტირაჟიანი გაზეთი „გორელი ფეიქარი“ — საწარმოს პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ორგანო. გაზეთი გამოდის ქართულ და რუსულ ენებზე.

ხალხის გულის ხმა უერთდება პარტიის გულისთქმას

საამქროებში იგრიალებენ მშვიდობის ავტომატები

ახლახან მშრომელი შეიკრიბა თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ეზოში გამართულ სახელდახელო მიტინგზე, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგებს მიეძღვნა. ქარხნის მთავარი ინჟინერი ი. გრძელიშვილის ინფორმაციის შემდეგ ტრიბუნაზე ადის მოწინავე ზეინკალი პ. ბედენაშვილი.

— ჩვენ, თბილისელი ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებლები, — ამბობს ამხ. პ. ბედენაშვილი, — სულით და გულით მივესალმებით შშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს და მიმართავს, რომლებშიც გამოხატულია პარტიისა და მთავრობის უდიდესი მზრუნველობა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან ორთქლმავლების ამწყობი საამქროს უფროსი პ. მატუხოვი, მექანიკოსთა ბრიგადირი ი. ბაბაევი, მე-7 საამქროს უფროსი კ. ბლახი, მოტორ-ვაგონსექციების შემკეთებელი საამქროს უფროსი მ. გაგუნაშვილი. ისინი თავიანთი კოლექტივების სახელით კისრულობენ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს შვიდწლედის დავალებათა ვადაზე ადრე შესრულებისათვის, მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით და მიმართვით აღფრთოვანებულმა მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს მიმდინარე წლის დავალება შეასრულონ 12 დეკემბრისათვის, სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება გეგმასთან შედარებით შეამცირონ 1.150 ათასი მანეთით, შრომის ნაყოფიერება გაადიდონ 5 პროცენტით.

რაციონალიზატორებთან და გამომგონებლებთან მუშაობის გაუმჯობესების, ახალი ტექნიკის, მოწინავე ტექნოლოგიის ფართოდ დანერგვის, ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელების შედეგად მიაღწიონ 450 ათას მანეთ პირობით ეკონომიას, ამასთან წარმოებაში დანერგონ 10 სახეობის დეტალების ავტომატური შედუღება, უზრუნველყონ შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, 1959 წლის დამლევისათვის დანერგონ 60 სახეობის ინსტრუმენტები და მოწყობილობანი.

წელიწადს წაართმევენ 16 დღეს

ახლა დიდი აღმავლობის დღეებია თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხანაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული საწარმოს კოლექტივი ენერგიის დაუზოგავად იბრძვის ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. გუშინ ამ კოლექტივის წევრებმა თავი მოიყარეს საწარმოს ეზოში საერთო-საქარხნო მიტინგზე ივნისის პლენუმის შედეგების აღსანიშნავად.

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა — თქვა მიტინგზე ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ს. სარიშვილმა, — მტკიცე საძირკველი ჩაუყარა ტექნიკური პროგრესის შემდგომ დაჩქარებას. პლენუმმა ჩვენ მოგვცა შრომის ნაყოფიერების ზრდის პროგრამა, რომლის განხორციელება პარტიის XXI ყრილობის დიდ წინასწარდასახლობათა შესრულების გზაზე წინგადადგმული მძლავრი ნაბიჯი იქნება.

საამაყოა ამის შეგნება, რომ ჩვენმა კოლექტივმა ცუდად როდი იმუშავა — წარმოებაში ავტომატიზაციისა და მექანიზაციის დანერგვით საერთო პროდუქციის გამოშვების ივნისის დავალება 106,1 პროცენტით შეასრულა.

ტრიბუნაზე ავიდა ამწყობი საამქროს ზეინკალი რაციონალიზატორი გ. მიქაბერიძე. ის ამბობს:

— ჩვენ, ქართველი ელმავალმშენებლები, მხურვალედ მივესალმებით და ვიწონებთ მშობლიური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიმართულია ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის. მე, ამ დიდი კოლექტივის წევრს, სიამაყით მევსება გული იმის შეგნებით, რომ პარტია მუდამ ჩვენთან არის, ჩვენი ფიქრებისა და გრძნობების შესანიშნავი მესაიდუმლეა. ჩვენი საამქროს კოლექტივის სახელით პირობას ვდებ გაორკეცებული ენერგიით ვიმუშაოთ, მიმდინარე თვის გეგმა 22 ივლისისათვის შევასრულოთ.

მიტინგის მონაწილეებმა ვალდებულება იკისრეს მიმდინარე წლის გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით 15 დეკემბრისათვის შეასრულონ, დაზოგონ 2,5 ტონა ფერადი ლითონები, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვით ხელის შრომა შეამცირონ 6,5 პროცენტით.

ჩვენს დიად სამშობლოში

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მილწევათა გამოფენა. სსრ კავშირის ტრანსპორტის პავილიონი. მნახველები ათვალიერებენ თვითმფრინავთა მოდელებს.

ფოტო ვ. ხუხლაევისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

სახალხო მეურნეობის მილწევათა გამოფენაზე

მოსკოვის ოლქის პავილიონში დაიწყო საადრეო ბოსტნეულის დათვალიერება. დათვალიერებაში მონაწილეობენ მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. უახლოეს ხანში მოელიან ექსპონატებს რუსეთის სხვრ სხვა ოლქებიდან და მოკავშირე რესპუბლიკებიდან. დათვალიერება ცხადყოფს, თუ რა მრავალფეროვანი და ჩინებული ბოსტნეული შეიძლება მოვიყვანოთ წლის ამ დროს მოსკოვის ოლქში დაცულ და ღია გრუნტშიც კი.

მნახველთა უურადღებას იპყრობენ ვრიბოვკის ბოსტნეულის სასელექციო საცდელი სადგურის ექსპონატები. აი სხვადასხვა ჯიშის მრავალწლიანი ხახვის მთელი კოლექცია; ოთხი ჯიშის თვის ბოლოკი; კიტრი — ჩვეულებრივი კლინური და ჰიბრიდული, თითო მეოთხედი მეტრი სიგრძისა. ვრიბოვკის სადგურის სტენდზე არის ყვავილოვანი კომბოსტო, საადრეო თავხვეული კომბოსტო, სტაფილო, მჟაუნა, ოხრახუში, კამა... ბევრი მნახველი განცვიფრებთ უყურებს რევანდის ლერწებს, რომელთა სიმსხო 15-18 სანტიმეტრს აღწევს. ამ ლერწებით კეთდება ჩინებული მურაბა, რომელიც გემოთი ვაშლისას არ ჩამოუვარდება, კისელი, კომპოტი, ღეროები ნედლადაც იჭმევა.

საბჭოთა მეურნეობა „ტეპლიჩნიმ“ სხვა ბოსტნეულს შორის წარმოადგინა მოსკოვის ოლქში უსამართლოდ მივიწყებული სატაცური.

წარმოდგენილი ექსპონატები მოწმობენ ბოსტნეულის არა მარტო მრავალფეროვან ასორტიმენტს, არამედ დიდ მოსავალსაც. მაგალითად, საბჭოთა მეურნეობაში „ლიუბერცის სარწყავი მინდვრები“ სათბურის ყოველ კვადრატულ მეტრზე მოჰყავთ 12 კილოგრამი და კვალსათბურის თითო ჩარჩოზე — 6,4 კილოგრამი კიტრი. იაფი ბოსტნეული მოჰყავთ ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის დახურულ გრუნტში: კილოგრამი კიტრის თვითღირებულება აქ მხოლოდ 2 მანეთია.

საგარეუბნო საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების კოლექტივები, — ამბობს პავილიონის აგრონომი ლ. ა. ფროლოვა, — თუ გამოიყენებენ გამოფენაზე წარმოდგენილ საუკეთესო მეურნეობათა გამოცდილებას, რომლებიც საადრეო ბოსტნეულით ამარაგებენ დედაქალაქს, შეძლებენ მოკლე ვადაში მოაგვარონ ქალაქების მოსახლეობის მომარაგება ფართო ასორტიმენტის იაფი ბოსტნეულით მთელი წლის განმავლობაში. (საკდესი).

მეჩვიდმეტე ტურბინი სტალინგრადის ჰესისათვის

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მიმდინარეობის პერიოდში ლენინგრადის ლითონის ქარხნის ჰიდროტურბინის საამქრომ ახალი შრომითი გმირჯვებები მოიპოვა. პლენუმის მუშაობის დამთავრების დღისათვის მან გამოუშვა მეჩვიდმეტე ტურბინი სტალინგრადის ჰესისათვის. ეს მანქანა გამოშვებულია წლის პირველი ნახევრის გეგმის გადამეტებით.

ასრულებენ რა პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებს, ტურბინმშენებლებმა მიაღწიეს იმ ჰიდროელექტროსადგურებისათვის საჭირო მსოფლიოში უდიდესი მანქანების წარმოების თვალსაჩინო ზრდას, რომლებიც შვიდწლიანი გეგმით შენდება.

წელს ტურბინების გამოშვება აქ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 57 პროცენტით გადიდდა.

პარკი ქარხნის ეზოში

რიგის ტურბომექანიკური ქარხნის საამქროებში ყველა დაზგასთან სპეციალურ თაროზე დგას ყვავილი. ტურბინმშენებლები სუფთად უვლიან მათ.

ქარხნის ტერიტორიაზე გაკეთდა პარკი. საამქროებს შორის ისმის ნორჩი არყისხეების, ნეკერჩხლების, ვაშლის, მსლის, ქლიავის ფოთლების შრიალი. კლუბებზე მრავალი ყვავილია. პარკი იქმნებოდა მუშების ხელებით, და ახლა შესვენების დროს ისინი, მერხებზე ჩამომსხდარნი, ტკბებიან ამ პარკის სურნელით და ნიავით. ქარხნის პარკში მთავრდება ღია საცურავი აუზის მშენებლობა.

ფილმი რუდაქის შესახებ

სტალინაბადი. (საკდესი). აქ გაიმართა ახალი ფერადი მხატვრული ფილმის „პოეტის ბედის“ პრემიერა. კინოსურათი მოგვითხრობს IX საუკუნის დიდ ეროვნულ კლასიკოსზე პოეტ აბუაბდულო რუდაქიზე.

ფილმი, რომელიც შექმნილია ცნობილი ტაჯიკი მწერლის სათმ ულუგზადეს სცენარის მიხედვით, მოგვითხრობს რუდაქის ტრაგიკულ ბედზე, მხატვრულად გადმოგვცემს იმ დროის ისტორიულ ვითარებას, პოეტის სამშობლოს მდიდარ ბუნებას. აბუაბდულო რუდაქის როლი შესრულა ახალგაზრდა მსახიობმა მარატ არიპოვმა, რომელმაც შექმნა მოაზროვნე პოეტის მრავალმხრივი სახე.

სურათის რეჟისორია ვ. კიმიაგაროვი.

ნაპრალის გადალახვა

ოსეთ-ინგუშეთის ავტონომიური ოლქის ეროვნული ეკონომიკა

ოსეთ-ინგუშეთის ავტონომიური ოლქის ეროვნული ეკონომიკა ბოლო ოცი წლის განმავლობაში ფეხს ადგამს ინდუსტრიალიზაციის გზაზე. ოლქში ამოქმედდა ელექტროსადგურები, ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, ბამბეულის, ხის, ტყავეულის, ტანსაცმლის, ფეიქრული, ტანსაცმლის, ფეიქრული, ტანსაცმლის, ფეიქრული

140.000 ტონა ჩაისათვის.

ახალგაზრდობა — მოწინავე ხაზზე

მეტი ჩაისათვის ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობენ მახარაძელი ახალგაზრდები. ორი თვის შედეგებით ბევრმა ბრიგადამ, რგოლმა და კომკავშირელმა თავი ისახელა. მათ შორის შექების ღირსი გახდა სოფელ მელექედურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელიც იბრძვის კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელწოდების მოპოვებისათვის, ამ ბრიგადამ მაის-ივნისში მოკრიფა 27.800 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ორი თვის დავალება 110,5 პროცენტით შეასრულა.

ამ ბრიგადის წევრებმა საკუთარი ძალებით ააშენეს ჩაის ფოთლის მიმღები პუნქტი, მოაწყეს საველე სასადილო, წითელი კუთხე და სასპორტო მოედანი.

სოფელ მახარაძის კოლმეურნეობის კომკავშირელმა, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა ელიკო ბაკურაძემ. უკვე მოკრიფა 2.700 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და ვალდებულება იკისრა სეზონში მოკრიფოს 5 ტონა ჩაის ნედლეული.

იმრავლოს ასეთი ახალგაზრდების სახელოვანმა რიგებმა!

ჩაის პლანტაციებში დაძაბული შრომაა გაჩაღებული. უბვად შემოსულ „მწვანე ოქროს“ განუწყვეტლივ, ყოველდღიურად კრეფენ. მკრეფავთა რიგებს წელს ბევრი ახალგაზრდა შეემატა. განსაკუთრებით დიდია ახალგაზრდობის როლი გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯის კოლმეურნეობა „მეგობრობაში“.

ქებით იხსენიებენ მესამე ბრიგადაში მომუშავე ნუნუ გერგედავას, რომელიც დღეში 80-90 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს.

საშუალო სკოლის მოსწავლეები ენერგიულად შრომობენ სოფელ მელექედურის (მახარაძის რაიონი) კოლმეურნეობაში. შეჯიბრებაში დაწინაურდა მოსწავლე ნ. ბარამიძე. იგი იმისათვის იბრძვის, რომ 0,2 ჰექტარზე მოკრიფოს 2 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად 800 კილოგრამისა. **ხუროთზე:** მარცხნიდან მარჯვნივ — გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯის კოლმეურნეობის მეჩაიე, კომკავშირელი ნ. გერგედავა და მახარაძის რაიონის სოფელ მელექედურის კოლმეურნეობის მოწინავე მკრეფავი ნ. ბარამიძე.

ფოტო გ. ტოლმაჩევისა და ა. აბულაძისა.

იცნოგდეთ, მათ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩაის კრეფაში

წალენჯიხა. ცოფე კვარაცხელიამ წალენჯიხის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 80 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. სულ სეზონის დაწყებიდან მოკრეფილი აქვს ოთხ ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული. **ჩ. სვანიძემ, უ. კვარაცხელიამ, ვ. ბაძაღუამ, მ. კვარაცხელიამ** მოკრიფეს 55-60 კილოგრამი ჩაი თვითეულმა.

ჩხოროწყუ. ნათელა შენგელიამ ხაბუმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში 100 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. **რენადა პაპავამ** ნაფიჩხოვოს მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 70 კილოგრამი ჩაი ნაცვლად 25 კილოგრამისა, **ვენერა დარსალიამ** კი 60 კილოგრამი. **ეიეინო შენგელია** ხაბუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობს. მან 80 კილოგრამი ჩაი მოკრიფა და დღიური ნორმა სამმაგად შეასრულა.

მამათელ მეჩაიეთა წარმატება

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). სოფელ მამათის კოლმეურნეობის მეჩაიეები იბრძვიან მეტი მაღალხარისხოვანი ჩაისათვის. მათ ვალდებულება იკისრეს მოკრიფონ 1 მილიონი კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 882.000 კილოგრამისა. მაის-ივნისში მოკრიფეს 470 ტონა ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 405 ტონისა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დამზადებულია 148 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ანადგებენ წარჩინებული მეჩაიეები ეკატერინე. შარა და ანიკო ჩხაიძეები, დარიკო მეჭვაბიშვილი, მ. დობორჯგინიძე და სხვები.

მიიღე, დედასამშობლოს!

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების პირველი ნახევარი წლის გეგმის შესრულება 1959 წლის 1 ივლისისათვის

ხორცის დამზადების 1959 წლის პირველი ნახევრის გეგმა 1 ივლისისათვის მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებულია 112,5 პროცენტით, რძისა — 111,5 პროცენტით, კვერცხისა — 108,7 პროცენტით, მატყლისა —108,8 პროცენტით.

1958 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ამ პროდუქტების დამზადებამ შეადგინა ხორცისა — 112,4 პროცენტი, რძისა—114,1 პროცენტი, კვერცხისა — 114,2 პროცენტი და მატყლისა — 111,8 პროცენტი.

ხორცის, რძის, კვერცხისა და მატყლის დამზადების 1959 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულება ავტონომიურ რესპუბლიკებში, ოლქებსა და რაიონებში 1959 წლის 1 ივლისისათვის ხასიათდება შემდეგი მონაცემებით — პროცენტობით.

	ხორცი	რძე	კვერცხი	მატყლი
ახალქალაქის რაიონი	73	113	161	78
ბოგდანოვკის	77	129	168	45*)
ახალციხის	127	130	150	106
ადიგენის	125	118	131	103
ასპინძის	105	116	136	100
ხაშურის	102	100	106	101
ქარელის	120	101	109	119
გორის	108	114	101	100
კასპის	117	101	102	107
ბორჯომის	116	116	139	70
საგარეჯოს	59	103	102	108
გურჯაანის	114	137	122	114
სიღნაღის	100	101	100	125
წითელწყაროს	102	110	119	105
თელავის	104	100	114	101
ყვარლის	100	89	87	121
ახმეტის	109	103	107	122
ლაგოდეხის	136	148	117	102
სამგორის	108	112	111	151
მცხეთის	103	144	107	109
მარნეულის	107	108	104	95
ბოლნისის	104	140	102	95
წალკის	39*)	108	71	53*)
დუშეთის	107	103	106	120
თეთრი წყაროს	106	130	115	100
დმანისის	103	109	111	100
თიანეთის	129	101	102	183
ყაზბეგის	103	107	—	119
წყალტუბოს	143	107	101	—
ვანის	114	100	102	—
სამტრედიის	210	129	106	—
წულუკიძის	154	117	104	—
მაიაკოვსკის	101	107	106	—
ზესტაფონის	143	125	104	—
თერჯოლის	153	116	124	—
ქალ. ჭიათურა	178	130	90	—
საჩხერის	184	157	133	—
ორჯონიკიძის	113	116	135	—
ტყიბულის	198	145	107	—
ონის	109	107	102	—
ამბროლაურის	115	120	146	—
ცაგერის	104	103	109	—
ლენტეხის	121	95	—	—
აბაშის	135	109	103	—
ცხაკაიას	124	103	55	—
გეგეჭკორის	120	106	104	—
ზუგდიდის	131	107	102	—
ხობის	109	82	108	—
წალენჯიხის	147	112	111	130
ჩხოროწყუს	145	113	92	—
მახარაძის	205	159	133	—
ლანჩხუთის	184	119	112	—
ჩობალაურის	190	168	156	—
მესტიის	233*)	121*)	—	—
ქალ. ფოთი	128	92	—	—
აფხაზეთის ასსრ	116	74	107	120
მათ შორის:				
სოხუმის რაიონი	108	46	101	—
გალის	120	83	101	127
გაგრის	129	102	108	—
გუდაუთის	113	50	111	50
ოჩამჩირის	116	84	104	100
აჭარის ასსრ	157	115	117	—
მათ შორის:				
ბათუმის რაიონი	177	120	148	—
ქობულეთის	204	125	104	—
ქედის	156	111	101	—
ხულოს	101	108	114	—
შუახევის	133	102	119	—
სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქი	113	125	103	120
მათ შორის:				
სტალინირის რაიონი	112	131	105	96
ჯავის	113	115	—	109
ლენინგორის	114	119	101	124
ზნაურის	113	129	101	6

შენიშვნა: *) ბოგდანოვკის, წალკისა და მესტიის რაიონების ცნობები მოცემულია 20 ივნისისათვის, რადგან მათგან ცნობები არ არის მიღებული.

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო

ჭაობისებური მყუდროება

სასოფლო საბჭო ასე არ უნდა მუშაობდეს

ლამაზია ძამის ხეობა. მდინარის ორივე მხარეს ფერდობზეა გაშენებული სოფელი გვერძინეთი. იქ შესულხართანავე საბჭოს ალმასკომი ვიკითხეთ.

— წყალს გახვალთ თუ არა, ზევით აუხვევთ და... კაჩმაზოვის სახლს იკითხავთ, იქ არის, დაქირაგებულ ბინაში.

ეზოში რომ შევდიოდით, გაგვაფრთხილეს, ძაღლს მოვრიდებოდით. მეორე სართულზე ავედით. ოთახში სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ღამბაშიძე და მდივანი გერასიმე ელბაქიძე დაგვხვდნენ. მდივანი ოქმებს ფურცლავდა, თავმჯდომარე კი ფიქრებში იყო გართული. ჩვენ დავარღვიეთ მათი მყუდროება. პირველად ღამბაშიძე ბეერს და გაბედულად ლაპარაკობდა, მაგრამ როცა საუბარი სასოფლო საბჭოს საქმიანობაზე ჩამოვუგდეთ, სიტყვები დუმდა.

— ჰო... ვმუშაობთ, რაც შეგვიძლია, გვითხრა დუმილის შემდეგ.

გვერძინეთის სასოფლო საბჭოში სამი კოლმეურნეობა შედის. სულ შვიდი დასახლებული პუნქტია. სამივე კოლმეურნეობა წლების მანძილზე ჩამორჩენილია. დაბალია სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავალი და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. ჩამორჩენა კი იმით არის გამოწვეული, რომ კოლმეურნეობებში მოუწესრიგებელი შრომა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა სრულდება აგროტექნიკის დარღვევით, უყრადღება არ ექცევა მეცხოველეობას.

— რას აკეთებს სასოფლო საბჭო კოლმეურნეობებში ჩამორჩენილი დარგების წინწამოსაწევად?—ვკითხეთ თავმჯდომარეს.

— სასოფლო საბჭოს რის გაკეთება შეუძლია? — ჯერ გაკვირვებით იკითხა მან, შემდეგ კი სესიისა და აღმასკომის სხდომის ოქმები გადმოგვიღოგა და გვითხრა: —ნახეთ, საკითხებს განვიხილავთ, ვმსჯელობთო.

მარტში სასოფლო საბჭოს სესიაზე კოლმეურნეობებში საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხი განიხილავთ. გამოუვლინებიათ ღამბაშიძე მომხსენებელი იყო, ხოლო სიტყვით მხოლოდ საბჭოს მდივანი ელბაქიძე გამოსულა. ბუნებრივია, საკითხის ასეთ განხილვას შედეგი არ მოჰყვებოდა და არც მოჰყოლია. გზები სერიოზულ შეკეთებას საჭიროებენ.

ხშირად მთელი დღეები ისე გავა, რომ საბჭოში კაცი არ შეიხედავს. ჭაობისებურ მყუდროებაში თვლემენ თავმჯდომარე და მდივანი. ასე იყო იმ დღესაც, კოლმეურნე ა. ალბოროვი რომ არ მოსულიყო საბჭოში სახელმწიფო დაზღვევის ფულის გადასახდელად. მოხუცმა საყვედური გამოთქვა, გუშინ ქვითრები არ ჰქონდა მდივანს, ამიტომ მეორედ მომიხდა მოსვლაო.

დეპუტატები? ისინიც არ აქტიურობენ, ხშირად არ მიდიან საბჭოში. საბჭოს შემადგენლობის არჩევის შემდეგ მხოლოდ ერთხელ იყო სასოფლო საბჭოს სესია, რეგულარულად არც აღმასკომის სხდომები ეწყობა. შარშან აგვისტოდან წელს თებერვლამდე არ ყოფილა აღმასკომის სხდომა. ფორმალიზმია მუდმივი კომისიების მუშაობაც. სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის (თავმჯდომარე დეპუტატი რ. ელბაქიძე) ოქმებში ვეთხოვნეთ, რომ სხდომები ყოფილა იანვარსა და თებერვალში, კომისია კი არჩეულია მარტში! თუ საბიუჯეტო კომისიის ოქმებს დავუჯერებთ, 28 მარტს კომისიის ორი სხდომა შემდგარა...

სასოფლო საბჭო და მისი აღმასკომი დიდად არც სოფლის კეთილმოწყობისათვის ზრუნავენ. სოფლის თავკაცები გურჯაანელთა თაოსნობას ხვირიანადაც არ იცნობენ. სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე ერთი საპარიკმახეროც არ არის.

გვერძინეთის სასოფლო საბჭოს მუშაობა იმასაც მოწმობს, რომ ქარელის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი სუსტად ეხმარება ამ სასოფლო საბჭოს, არ ზრუნავს მისი ინიციატივისა და აქტივობის გასაძლიერებლად.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

იმრავლოს ხვავმა, ბარაქამ

კომგაინერთა სოციალისტური შეჯიბრება

8 ივლისი

სიღნაღი. ფიფო ბასილაშვილმა „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მოსავალი აიღო 17 ჰექტარზე და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 18 ცენტნერი მარცვალი. ამავე კოლმეურნეობაში **იოსებ ზურაშვილმა** მომკა 20 ჰექტარი, ჰექტარზე გალეწა 18 ცენტნერი ხორბალი. **გიორგი ქადაგიძემ ტიბაანის** კოლმეურნეობაში აიღო 17 ჰექტარი და ჰექტარზე გალეწა 20 ცენტნერი მარცვალი. **ამირან უანდაშვილმა** მაღაროს კოლმეურნეობაში მომკა 15 ჰექტარი. საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 17 ცენტნერი მარცვალი.

წითელწყაროს. **ამირან იაკობაშვილმა** სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში 6 დღეში მომკა 129 ჰექტარი და გალეწა 2.550 ცენტნერი ხორბალი. კომბაინერმა **ვლადიმერ ვარდაშვამ** 5 სამუშაო დღეში მოსავალი აიღო 103 ჰექტარზე, გალეწა 2.000 ცენტნერი მარცვალი. **გიორგი გუგენიშვილმა** არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში სამ დღეში მომკა 55 ჰექტარი და ჰექტარზე გალეწა 22,6 ცენტნერი მარცვალი, ხოლო **ზაქარია ფაციაშვილმა** მომკა 50 ჰექტარი, ჰექტარზე გალეწა 22,6 ცენტნერი.

ხოგრგლეულის გაყოფით აღება

თეთრი წყაროს რაიონში წარმატებით დაიწყო ხორბლის აღება ორ ფაზად — გაყოფით.

სოფელ კოდის კოლმეურნეობაში 2 ივლისს „ურ-6-4,9“ მარკის მისაბმელი სამკელით აღებულ იქნა 25 ჰექტარი პურეული. 3 ივლისს რაიონის მექანიზატორებთან და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან მოეწყო საუბარი გაყოფით აღების მნიშვნელობაზე.

სულ მალე მასობრივად დაიწყება მოსავლის გაყოფით აღება სოფლების ასურეთის, ბორბალოს, ჯორჯიაშვილის და ფარცხისის კოლმეურნეობებში.

პური უხვად მოდის

სიღნაღი. („კომუნისტის“ კორ.). ვაქირეი კოლმეურნეობა წელს პურეულის კარგ მოსავალს იღებენ. უკვე გაჩაღდა მკა. დღემდე აღებულია 760 ჰექტარი და საშუალოდ ჰექტარზე გალეწილია 16 ცენტნერი მარცვალი. ახლა პურეულის მკაზე 8 კომბაინი მუშაობს. კომბაინერთა შორის გაჩაღებულ შეჯიბრებაში დაწინაურდა ფ. მახარაშვილი, რომელმაც მომკა 121 ჰექტარი და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 17 ცენტნერი მარცვალი. მას არ ჩამორჩება კომბაინერი ბ. მამუკელაშვილი, რომელსაც დღემდე მომკილი აქვს 101 ჰექტარი პურეული.

• • •

სურათზე: სოფელ ვაქირის კოლმეურნეობის წევრები პურეულის მოსავალს ბეღელში გზავნიან.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ჰექტარზე 28 ცენტნერი ხორგალი

საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეები და მექანიზატორები დროულად მომზადნენ მოსავლის ასაღებად, შეაკეთეს სასოფლო სამეურნეო ტექნიკა, წესრიგზე მოიყვანეს ქალოები და საწყობები. ამჟამად საკოლმეურნეო მინდვრებზე გაჩაღდა თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება.

მკა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სოფელ ბოგდანოვკის სასოფლო-სამეურნეო არტელში. აქ საშემოდგომო ქერი და ხორბალი დათესილია 450 ჰექტარზე. კოლმეურნეები უხვ მოსავალს იღებენ. კოლმეურნეობის მოწინავე მექანიზატორმა ს. ოგანეზოვმა უკვე დაამთავრა ქერის მკა და შეუდგა ხორბლის მოსავლის აღებას. საშუალოდ ჰექტარზე მან 23 ცენტნერი ქერი გალეწა, ხოლო ხორბლის საშუალო მოსავალმა ჰექტარზე 28 ცენტნერს მიაღწია.

გეგმის შესრულება

ლანჩხუთის რაიონის მეაბრეშუმეებმა 1 ივლისისათვის 100,7 პროცენტით შეასრულეს პირველი გამოკვების აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა. სახელმწიფოსათვის მიყიდულია 201,5 ტონა აბრეშუმის პარკი ნაცვლად 200 ტონისა. აბრეშუმის პარკის მიყიდვა გრძელდება.

ურთიერთდამხმარე სალარო კოლმეურნეოგაში

ოჩამჩირე. (საკ. კორ.). უკვე რამდენიმე წელია ოჩამჩირის რაიონის სოფელ სოფხოური ათარის კამის სახელობის კოლმეურნეობაში ურთიერთდამხმარე სალარო არსებობს. ამჟამად სალაროში ათასამდე წევრი არიცხება. გასული წლის ბოლოსათვის ანგარიშზე იყო 380 ათასი მანეთი. წლის განმავლობაში სალარომ 71 კოლმეურნეს მისცა ფულადი სესხი. კოლმეურნეებმა ა. ჩიპინიანმა, ა. კონდაქჩიანმა მიიღეს 4.000 მანეთი თვითეულმა, ზ. არზუმანიანმა — 3.500 მანეთი, მ. პეტიკიანმა — 3.000 მანეთი და ა. შ.

ურთიერთდამხმარე სალაროს სახსრებით შეძენილ იქნა ცაიშის და სხვა კურორტების 27 საგზური, ზოგიერთმა კოლმეურნემ საგზური უფასოდ მიიღო.

ამჟამად საკოლმეურნეო ურთიერთდამხმარე სალაროს სახსრები 435 ათას მანეთს აღემატება.

ორი რესპუბლიკის კოლმეურნეთა მეგობრობა

მცხეთა. („კომუნისტის“ კორ.). შრომისა და სიცოცხლის ზეიმია ახლა სოფელ ძალისში. კოლმეურნეები ადრე დილიდან გვიან დაღამებამდე შემოქმედებითად შრომობენ მიმდინარე წლის უხვი მოსავლის მოღებისა და მეცხოველეობის აღმავლობისათვის.

რამდენიმე წლის წინათ ძალისის სასოფლო-სამეურნეო არტელი ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი იყო მცხეთის რაიონში. მშობლიური პარტია დაეხმარა ძალისელ კოლმეურნეებს ეპოვნათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის მძლავრი აღმავლობის გასაღები. ახლა ძალისელებს ბევრი რამ აქვთ საამაყო.

ეცნობიან რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მასალებს და მის მიმართვას, მშრომელთათვის ნათელი ხდება სოფლის მეურნეობაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის უდიდესი მნიშვნელობა.

— ჩვენი კოლმეურნეობის წევრები დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას, პლენუმისა, რომელმაც განიხილა ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხები, — ამბობს სოფელ ძალისის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. გ. არჯევანიძე. — პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი და მიმართვა ახალი შრომითი საქმეებისათვის მოგვიწოდებს.

სწორედ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობის დღეებში ჩავებით სოციალისტურ შეჯიბრებაში სომხეთის სსრ შაუმიანის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებთან შვიდწლედის ხუთ წელში შესრულებისათვის. სომეხ კოლმეურნეებთან შეჯიბრება გვეხმარება იმაში, რომ წარმატებით განვახორციელოთ პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებები. ძალისელი კოლმეურნეები აღუთქვამენ პარტიას, რომ მთელ თავიანთ ძალას, ცოდნასა და გამოცდილებას მოახმარენ მაღალ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლას, გამარჯვებული გამოვლენ სომეხ ძმებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში. დღეს ვიწყებთ მოსავლის აღებას. გადაწყვეტილი გვაქვს 200 ჰექტარი პურეული ათ სამუშაო დღეში უდანაკარგოდ ავიღოთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მახალებს და მიმართვას დიდი ინტერესით ეცნობიან და ახალ მაღალ ვალდებულებებს კისრულობენ წილკნის, საგურამოს და რაიონის სხვა სოფლების კოლმეურნეობებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებში

29 ივნისს კრემლში ამხ. დ. ს. პოლიანსკის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიების გაერთიანებული სხდომა.

კომისიებმა განიხილეს პროექტები კანონისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გამოწვევის წესის შესახებ, კანონისა სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლებისა.

კომისიებმა მოიწონეს პროექტი კანონისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გამოწვევის წესის შესახებ და გადაწყვიტეს შეიტანონ იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის უფრო ფართოდ განხილვის მიზნით კომისიებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ კანონპროექტი გამოქვეყნდეს ეურნალებში: „სოვეტი დეპუტატოვ ტრუდიაშჩიხსია“, „სოვეტსკიე პროფსოიუზი“, „სოციალისტიჩესკი ტრუდ“, „სოვეტსკოე გოსუდარსტვო ი პრავო“, „სოციალისტიჩესკაია ზაკონოსტ“, „სოვეტსკაია იუსტიცია“, აგრეთვე „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენში“.

კომისიებმა ძირითადად მოიწონეს პროექტი კანონისა სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ.

საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიების სხდომაზე მოისმინეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მომზადება სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების ქორწინებისა და ოჯახის კანონმდებლობის საფუძველთა და სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების გამასწორებელ-შრომის კანონმდებლობის საფუძველთა პროექტებისა.

კომისიებმა აგრეთვე განიხილეს ზოგიერთი სხვა საკითხი.

კომისიათა მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს: სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ა. თ. გორკინმა, სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა რ. ა. რუდენკომ, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. პ. დუდოროვმა, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ს. დ. ორლოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ვ. გოროშკინმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ ა. ი. დენისოვმა, სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვ. ფ. გარბუზოვმა, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ სხვა სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებმა და წარმომადგენლებმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, მეცნიერებმა. (საკდესი).

ძმათა პირისპირობა

თითქმის მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია ბათუმის რაიონის სოფელი სარფი, რაიონული ცენტრიდან 35 კილომეტრ მანძილზე, სამხრეთით, შავი ზღვის ნაპირას, მთის კალთებზე შეფენილი. იგი ბევრ მნახველს იზიდავს და მოგზაურებიც ინტერესით მიეშურებიან მისკენ.

ისტორიის ბედუკუღმართობამ ორად გაყო მისი ტერიტორია, რამაც მის მკვიდრთა ცხოვრებაში, ჭირსა და ლხინში, მუდამ მტკიცე ლაზების ერთიანობაში ნათელ-ჩრდილები წარმოშვა. როგორც პატარა სარკეში შეიძლება მზით განათებული თუ ღრუბლმოსილი უსაზღვრო ცის დანახვა, ასევე სარფშიც შეიძლება ორი სამყაროს თვალნათლივ ცქერა. ამ პატარა სოფელში ორი ქვეყნის, ორი პოლიტიკის, ორი სისტემის მიჯნაა: აქ მთავრდება ამერიკის კაპიტალიზმის უღელქვეშ მყოფი უბადრუკი თურქეთის სახელმწიფო და აქ იწყება ხალხთა ერთიანი ძმური ოჯახი — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. აქ ერთმანეთს პირისპირ შესცქერის ერთი სოფლის ორი ნაწილი, როგორც ერთი დიდ-მამის ორი შვილი — ერთი პირმოკუმული, დაღვრემილი, ხოლო მეორე — მოღიმარი და მხიარული.

ყოველივე ამის ნახვის დიდი სურვილი მქონდა, როცა სოფელ სარფისაკენ მოვისწრაფოდი.

პირველად ბათუმის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ვესტუმრე. ლამაზად მორთულ კაბინეტში კუმტი გამომეტყველების, მაგრამ ღიმილით სავსე ნინო ხახუტაშვილი დამხვდა. გავაცანი ჩემი ჩასვლის მიზანი და მოგზაურობის გეგმა. ჩვენ ძველი ნაცნობები გამოვდექით და საუბარი კი არ დაგვიწყია, არამედ თითქოს რამდენიმე საათის წინ დაწყებული შესიტყვება გავაგრძელეთ. ზარის ღილს თითი შეახო. მდივანმა ქალმა ყურმილში ჩასძახა: „ნინო გიხმობთ“. კაბინეტში საშუალო ტანის ვაჟკაცი შემოვიდა.

— ჩვენი რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე, ექიმი მოისწრაფეშვილი. ამბ. ილია დღეს შენი მანქანით ჩვენი სტუმარი სარფში უნდა გააცილო. თუ მოასწრებთ, მარადიდი და კირნათიც ინახულეთ.

— კეთილი, სრულ 11 საათზე წავალთ!.. — იყო მოკლე პასუხი.

ამ დროს თავმჯდომარის კაბინეტში შემოვიდნენ განყოფილებათა გამგეები, თათბირი ყოფილიყო დანიშნული. უხერხულობიდან თვით ნინომ გამომიყვანა, — არა უშავს რა, დარჩით, ამხანაგების მუშაობას გაეცნობითო. აღმასკომის მომავალ სხდომაზე გასატან საკითხებს აზუსტებდნენ. ეხებოდნენ, რა მოწიწებით წამოდგებოდნენ ბრგე ვაჟკაცები და თავაზიანად მოახსენებდნენ თავიანთ აზრს თავმჯდომარეს ამა თუ იმ საკითხზე. ტელეფონები რეკდნენ თითქმის განუწყვეტლივ და ისიც თითქმის განუწყვეტლივ და ერთ და იმავე დროს ტელეფონითაც ლაპარაკობდა, სათანადო მითითებებს იძლეოდა, თათბირის მონაწილეებს უსმენდა, საქმიან შენიშვნებს აძლევდა, ზოგჯერ რაიმე ტექსტს უკარნახებდა, და მე გაოცებული ვფიქრობდი: ვინ მისცა ამდენი ძალა ამ თითქოს ჩია ქალს!

ვინ მისცა და ჩვენმა დრომ, სოციალისტურმა წყობილებამ, რომელმაც ქალს ღირსება ამაღლა, მის ნიჭიერებას ფრთები შეასხა და სამზარეულოდან სახელმწიფო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოიყვანა. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ აქაურელ ქალს ჩადრი ეხურა... ახლა კი თავისი ქვეყნის მოღვაწეა, თავისი ხალხის წინამძღოლი კომუნიზმის კეშენელობის დიად გზაზე. ამხანაგი ნინო შემდეგ დაწინაურებულ იქნა პარტიის რაიონული კომიტეტის მდივნად.

თორჩეტის ნახევარზე მე და ექიმი ილია მოისწრაფეშვილი კახბრის ველისაკენ მივქროდით. თვალწარმტაც ხეივნებში ზღაპრული ხმალივით ელვარებდა თვალწარმტაცი გზატკეცილი. სულ მალე ჭოროხთან გავჩნდით და მის მკერდზე ელვასავით გადარტყმულ ხიდზე გავიქროლეთ. რამდენიმე წუთში თვალწინ გონიოს უძველესი ციხის კედლები აღიმართნენ. გონიოში სარფის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს მუხამედ ვანიძეს შევეხვედით. ისიც ჩვენი თანამგზავრი გახდა. გადავსერეთ მთის კალთებზე გაფენილი გზატკეცილი, თვალწინ გადაგეშალა ულამაზესი ზღვის სანაპირო. ზღვის, ტყისა და ყვავილების შერეულმა სურნელებამ დაგვათრო. რამდენიმე მოსახვევი და გადავადექით, ვიწრო ხეობას, რომლის გაღმა-გამოღმა მთის კალთებზე გაშენებულია სოფელი სარფი. ხეეში პატარა მდინარე ტიბაში (ტიბა ლაზურად ტბას, ში—ნელა სვლას ნიშნავს) მოედინება და იქვე ზღვის შესართავთან რიყიზე იკარგება. ჩვენს ყურადღებას ტიბაშის გაღმა მხარე —სარფის სამხრეთი ნაწილი უფრო იპყრობს: ულიმდამო ერთფერონება, დედს მოწყვეტილი შვილის ნაღველი, ქვემოთ ალაპის იდეების თავშესაფარი მეჩეთი ანუ თურქული „კულტურის“ და განათლების სასახლე“.

სარფის ჩრდილო ნაწილი, ანუ საბჭოთა სარფი ისევე მოუცავს სოციალისტური ცხოვრების სილაღეს, როგორც ჩვენი დიდი სამშობლოს ყოველი მხარე, ქალაქი თუ სოფელი. სარფელ კოლმეურნეებს თავიანთ ორსართულიან ქვიტკირის სახლებს გარდა საზოგადოებრივ შენებლობაშიც გამოუჩენიათ თავი. სარფის სილამაზეა 7-წლიანი სკოლის ორსართულიანი მონუმენტური შენობა, შესანიშნავად მოწყობილი საკლასო ოთახებით, ფიზიკისა და ქიმიის მდიდარი კაბინეტებით. სკოლას და მის მოკვრიალე ეზოს ბაღებიანი ბინა ერთვის. ეზოში ჩინეთი თავს დასტრიალებს ლაზი ვაჟკაცი ალი თანდილავი. იგი 10 წელზე მეტია, რაც ამ სკოლის დირექტორად მუშაობს და ამ სოფლიდან მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა გადაუფრენია საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.

სოფლის ნაგებობათა შორის ყურადღებას იქცევს კოლმეურნეობის ორსართულიანი შენობა, რომელშიც მოწყობილია კოლმეურნეობის კანტორა, საბჭო, კლუბი საკუთარი კინოდანადგარით. სარფის ცენტრს ამშვენებს ელექტროგაყვანილობა, რადიოკვანძი, ბიბლიოთეკა და ამბულატორია თავისი აფთიაქით, სოფლის მაღაზია საწყობებითა და გარაჟით.

სარფში 100-მდე კომლი ცხოვრობს. მათ საკმაოდ მძლავრი კოლმეურნეობა აქვთ. ძირითადად მოჰყავთ ჩაი და ციტრუსები. 30 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში წელს 113 ტონა ჩაი უნდა მოკრიფონ, 40 ჰექტარ ციტრუსების ბაღიდან 100 ტონა ციტრუსები უნდა ჩაბარონ სახელმწიფოს. სარფის კოლმეურნეობას კარგად მოწყობილ ფერმაში 50 სულ მსხვილფეხა საქონელი ჰყავს, აქედან 20 მეფველი ძროხაა, რომელთაგან თვითეული 2.000 ლიტრ რძეს ძძლევა წელიწადში. ფერმამ გასულ წელს 34.000 ლიტრი რძე ჩაბარა სახელმწიფოს. მიმდინარე წელს კი გეგმის შესრულება 40.000 ლიტრს გადააჭარბებს. ამაში მტკიცედ დარწმუნდებით, როცა სარფის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მურმან ბაქრაძეს გამოესაუბრებით. მურმანი შვიდი წელია ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარეა, თავისი ხუთი თითივით იცის სოფლის თვითეული მტკაველის ნაყოფიერება, თვითეული კოლმეურნის უნარი. სწორედ ამიტომ საქართველოს უკანასკნელი სამი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არის არჩეული.

კოლმეურნეობის თვალია აგრეთვე სოციალისტური შრომის გმირი მიხეილ კაიხალიშვილი. კაცი დარბაისელი და შრომისმოყვარე, სამშობლოს კეთილდღეობისათვის დაუღალავი მშრომელი. სარფის კოლმეურნეობას სოციალისტური შრომის მეორე გმირიც ჰყავს, ზინაიდა მეგობარიშვილი, მაგრამ ჭარნათელმა ჭაბუკმა წაართვა იგი სარფელებს და რძლად მიჰგვარა ჭარნათის კოლმეურნეობას.

შუაგაყოფილი სარფის უკეთ დათვალიერების მიზნით მე და სოფლის საბჭოს თავმჯდომარე მუხამედ ვანიძე ბაღლობ ადგილზე ავედით. მუხამედ გულდასმით მიხსნიდა მთებისა და სხვადასხვა ადგილთა სახელებს, მიუგებდა ლაზების ძველ ამბებს, მანიშნებდა შეძლებულ კოლმეურნეთა შესანიშნავი, ორსართულიანი ქვიტკირის სახლებით დამშვენებულ კარმიდამოს.

ბოლოს მუხამედმა ჯიბიდან სურათი ამოიღო: — ეს გუშინ მივიღე, ჩემი დისშვილი ყოფილა, მე ჩემი და ბაღლობის დროისდელი სახით მახსოვს. გათხოვების შემდეგ არაფერი ვიცოდი მის შესახებ. ახლა კი მისი ვაჟის სურათი მომიყიდა. აი მისი სახლი ის არის, — და ხელით მანიშნა ხევის გაღმა ფერდობზე მდგომ ერთ პატარა სახლზე. — ჩვენს სახლებს შუა 100 მეტრი თუ იქნება, იქიდან გამგზავნილმა წერილმა კი სახელმწიფოთა დედაქალაქები მოიარა და ისე მოვიდა ჩემთან. — სურათზე ლამაზი ლაზი ჭაბუკის სახე იყო აღბეჭდილი და განა მარტო სურათი მოისწრაფოდა აქეთკენ? გულიც მოისწრაფოდა საყვარელი ბიძისაკენ, საბჭოთა სამშობლოსაკენ...

მზე რომ ზღვისკენ გადაიხარა, ჩვენი მანქანა ჭოროხის ნაპირას მიჰქროდა. სოფელ აჭარისწყლის მახლობლად გადავეჭრით რკინის ხიდი და სამხრეთით ისევ ჭოროხის ხეობაში შევედით. აი სოფელი მაჭახლის პირი. აქ მდინარე მაჭახლისწყალი ეერთდება ჭოროხს; სულ აქეკა სოფელი მაჭახელაც, მაგრამ



ნახ. ი. ჭოკიაშვილისა.

* * *

იგი თურქეთის საზღვრებშია, ჩვენს თვალწინ აღმართული მთის გადაღმა. ამ სოფლის სახელთან დაკავშირებულია ძველი თოფი „მაჭახელა“, რომელსაც თურმე მხოლოდ ამ სოფელში აკეთებდნენ და რომლითაც ჩვენი ალაპური წინაპრები სამშობლოს იცავდნენ თურქი დამპყრობლებისაგან.

სოფელი მარადიდი, ისიც შუაზეა გაყოფილი მდინარე ჭოროხითა და ბედით. სახელი მარადიდი მარან დიდისაგან წარმოსდგება. ამ კუთხეშიც, თურქეთის სამასი წლის ბატონობამდე, ისევე როგორც ყველგან საქართველოში, ვაზი ფართოდ გავრცელებული იყო. საბჭოთა მარადიდის კოლმეურნეებს აღუდგენიათ ქართული ვაზი და ჩვენ ეხედავთ მზეს შეფეცხებულ მთის კალთებზე ვაზნარის საკმაოდ ვრცელ ფართობებს.

ეს მეხვეულ-მოხვეული გზა სულ ახლოს თავდება, სოფელ კირნათში, შემდეგ სხვა ქვეყანაა, სხვა პოლიტიკა დაუფლებია ცხოვრებას, ამერიკის კაპიტალის ტყვეობაში მოქცეულან ჩვენი თანამოძმენი, ჭოროხის გაღმა მცხოვრები აჭარლები.

სოფ. კირნათი ორი კოლმეურნეობის — მარადიდისა და კირნათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის სასოფლო-ცენტრია. სასოფლო საბჭო და კოლმეურნეობის გამგეობა ერთ ლამაზ ორსართულიან შენობაშია მოთავსებული.

ახმედ წითელაძე 24 წელია კოლმეურნეობას ხელმძღვანელობს. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს რევაზ შუშანიძეს ამდენი სტაჟი არა აქვს, მაგრამ ამ სოფლის აკაკრგის ცოდნასა და მუყაითობაში ახმედს არ ჩამოუვარდება.

კირნათის კოლმეურნეობის ძირითადი წყაროა ჩაი, თამბაქო, სიმინდი, ხილი და მეცხოველეობა.

კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის საამაყო წევრია მეთამბაქეე რემზი წითელაძე, რომელმაც, როგორც გამოჩენილმა მერგოლურმა, გასულ წლებში, ჩვენ თვალწინ აღმართული მთის გადაღმა. ამ სოფლის სახელთან დაკავშირებულია ძველი თოფი „მაჭახელა“, რომელსაც თურმე მხოლოდ ამ სოფელში აკეთებდნენ და რომლითაც ჩვენი აქაური წინაპრები სამშობლოს იცავდნენ თურქი დამპყრობლებისაგან.

სოფელი მარადიდი, ისიც შუაზეა გაყოფილი მდინარე ჭოროხითა და ბედით. სახელი მარადიდი მარან დიდისაგან წარმოსდგება. ამ კუთხეშიც, თურქეთის სამასი წლის ბატონობამდე, ისევე როგორც ყველგან საქართველოში, ვაზი ფართოდ გავრცელებული იყო. საბჭოთა მარადიდის კოლმეურნეებს აღუდგენიათ ქართული ვაზი და ჩვენ ეხედავთ მზეს შეფეცხებულ მთის კალთებზე ვაზნარის საკმაოდ ვრცელ ფართობებს.

ეს მეხვეულ-მოხვეული გზა სულ ახლოს თავდება, სოფელ კირნათში, შემდეგ სხვა ქვეყანაა, სხვა პოლიტიკა დაუფლებია ცხოვრებას, ამერიკის კაპიტალის ტყვეობაში მოქცეულან ჩვენი თანამოძმენი, ჭოროხის გაღმა მცხოვრები აჭარლები.

სოფ. კირნათი ორი კოლმეურნეობის — მარადიდისა და კირნათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის სასოფლო-ცენტრია. სასოფლო საბჭო და კოლმეურნეობის გამგეობა ერთ ლამაზ ორსართულიან შენობაშია მოთავსებული.

ახმედ წითელაძე 24 წელია კოლმეურნეობას ხელმძღვანელობს. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს რევაზ შუშანიძეს ამდენი სტაჟი არა აქვს, მაგრამ ამ სოფლის აკაკრგის ცოდნასა და მუყაითობაში ახმედს არ ჩამოუვარდება.

კირნათის კოლმეურნეობის ძირითადი წყაროა ჩაი, თამბაქო, სიმინდი, ხილი და მეცხოველეობა.

კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის საამაყო წევრია მეთამბაქეე რემზი წითელაძე, რომელმაც, როგორც გამოჩენილმა მერგოლურმა, გასულ წლებში, სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება დაიმსახურა. გარდა რგოლის უნარიანი ხელმძღვანელობისა, ერთ-ერთ ადგილზე პირადი შრომითაც აძლევს მაგალითს თავისი რგოლის წევრებს. წარმან 283 კილოგრამი თამბაქო მოიყვანა 120 კილოგრამის ნაცვლად და ამით არა მარტო რგოლის სამაგალითო ხელმძღვანელის, არამედ სამაგალითო წევრის სახელიც დაიმსახურა.

კირნათის სასოფლო ცენტრს ამშვენებს აგრეთვე სხვა ნაგებობები: კლუბი, საავადმყოფო, სოფლის მაღაზია, სამკითხველო, ეიტპუნქტი. სოფელი მთლიანად ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებულია. მომავალი წლიდან აქ იხსნება 120 ბავშვისათვის სკოლა-ინტერნატი, რომლის მშენებლობა გაცხოველებით მიმდინარეობს.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო სასოფლო საბჭოს ცენტრში განსაკუთრებულმა სისუფთავემ და წესრიგმა, რაც, სამწუხაროდ ბევრი სოფლისათვის როდია დამახასიათებელი. ამხანაგებთან საუბარში ეს აზრი გამოვთქვი. კოლმეურნეობის აკრონომმა მეხეილ კახაბერიძემ ღიმილით გადახედა საავადმყოფოს მთავარ ეკმს, ახალგაზრდა, მაგრამ საკმაო გამოცდილების მქონე ილია ჯიშკარიანს, — ეს ამის მარიფათია, კარგი ძიძასავით თავს დასტრიალებს აქაურობასო.

ჭოროხის ნაპირისაკენ გავიწიეთ, რათა კარგად დავთვალიერეთ გაღმა მხარე. ეხედავთ გადახნულ ეზოებს. ერთ ეზოში ხარებშებმულ ძველებურ კავს ქალი მართავდა. კარგა ხანს ვუყურებდით მის მუშაობას. ორიოდე კვალის გატანის შემდეგ შედგა და სახლისაკენ ქართულად გასძახა: — ეი, კაცო, სახნისი მომიტანე! — რამდენიმე წუთში მართლაც მივიდა მასთან მამაკაცი, ალბათ მიუტანა სახნისი. რაღაც ისაუბრეს. მამაკაცი გაბრუნდა სახლისაკენ, ქალმა კი განაგრძო კავის მართვა. ეს სურათი ნათლად მოწმობდა, თუ როგორ „დაფასებულია“ მამაკაცთან შედარებით თურქეთის სოფლებში ოჯახის დედა — ქალი.

ანდრო თევზაძე.

ბახტრიონი

ახმეტიდან ჩრდილოეთით 3-4 კილომეტრზე მდინარე ალაზანი საბოლოოდ ტოვებს კავკასიონის ქედის ხევებს, ქარაფ კლდეებს, და იერთებს მდინარე ილტოს. აქ კი ალაზანს ჯიუტი მასპინძელივით გზას უღობავს პატარა გორა, რომელსაც ოდითგანვე ხალხი ბახტრიონს უწოდებს.

შორს, კავკასიონის ქედის ერთ კალთაზე, იქ, სადაც მდინარე ინწობა გამოსცდება გრემს და გამოივაკებს, კლდეზე არწივის ბუდესავით დაკიდებული ძველთაძველი ნაგებობანი მოჩანს — ეს ენისლის ეკლესია-გალავანია.

მართლაც რომ კარგად შეურჩევიათ სტრატეგიულ პუნქტებად ჩვენს წინაპრებს ეს სამი ადგილი: ბახტრიონი, როგორც დედაბოძი, კვეტერა და ენისლის ეკლესია, როგორც მნიშვნელოვანი სათვალთვალო პუნქტები.

მე-16-17 საუკუნეები საქართველოს ისტორიაში თითქმის ყველაზე მძიმე ხანად ითვლება. თურქეთი საქართველოს სამხრეთ ნაწილს — სამცხე-საათაბაგოს მიტაცებით, ხოლო სპარსეთი კახეთისა და ქართლის დაპყრობით. წარმოადგენდნენ ორ სისხლიან ტირანს, რომლებიც მზად იყვნენ აღეგავათ მიწისაგან პირისა ქართველობა.

მაგრამ მოწინავე ქართველები, პროგრესული მოაზროვნეები ასე ადვილად როდი იგებოდნენ მტრის ანკესზე.

1635 წელს კახეთის მეფე თეიმურაზ პირველი რუსეთში გზავნის ელჩიონს ნიკიფორე ბერძნის მეთაურობით და რუსეთის მეფეს ალექსი მიხეილის-ძეს სთხოვს ურთიერთობის დამყარებასა და დახმარების გაწევას.

1639 წელს რუსეთიდან ბრუნდება დასაჩუქრებული ელჩიონი. თეიმურაზმა რუსეთის ერთგულების ფიცი მიიღო.

სელიმ-ხანის განკარგულებით 1657-1658 წლებში ბახტრიონზე ააშენეს ციხე-სიმაგრე და შიგ თავიანთი მეციხოვნეები ჩააყენეს. ამით ირანელები ფიქრობდნენ საქართველოს მთიანეთის დაპყრობა-დამორჩილებას და აღმოსავლეთ საქართველოს მთლიანად ხელში ჩაგდებას.

მაგრამ მთიანეთის მოსახლეობა შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა დამპყრობთ და თავის მხრივ ცდილობდა კავშირი დაემყარებინა რუსეთთან, რათა მიეღო მისგან დახმარება.

დაიწყო მზადება განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის. როგორც ირკვევა, ამ საქმის ორგანიზატორი ყოფილა ზაალ არაგვის ერისთავი. კახეთის ბარის მოსახლეობას მეთაურობდა ახმეტის თავადი ბიძინა ჩოლოყაშვილი.

ბიძინა ჩოლოყაშვილს ბარის ქართველებთან ერთად მხარდამხარ გაუყოლიათ ფშავ-ხევსურები და თუშები ღა 1659 წლის გაზაფხულზე, ზაალ არაგვის ერისთავთან, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებთან, მთიელ სახალხო გმირებთან — ზეზვა გაფრინდაულთან, ხევსურ ნადირა ხოშურაულთან და ფშაველ გოგოლაურთან შეთანხმებითა და მათი ჯარების მონაწილეობით სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუჩაღებიათ ბახტრიონთან და სწრაფი იერიშით აუღიათ ბახტრიონის ციხესიმაგრე. მათვე გაუნადგურებიათ ალავერდში და სხვაგან დაბანაკებული ურდოები.

1659 წლის კახეთის ეს აჯანყება ისე ძლიერი ყოფილა, რომ ამის შემდეგ ირანის მმართველებს კახეთში შემოსვლა ვეღარ გაუბედიათ.

აი, ჩაიკეცა სამასი წელი. გახუნდა და დაიცრიცა იმ დროის საზოგადოებრივი წყობა. დაინგრა შემდეგიც. ახლა ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს დიდ ოჯახში ქართველი ხალხი მთელი ძალით აშენებს კომუნიზმს... ბახტრიონიც დგას, როგორც სიამაყის კუნთი, დროთა სიავის მიუხედავად გაუცვეთელი.

ბახტრიონის მობიბინე გორიდან მოჩანს მწვანე ხალიჩასავით ახავერდებული კახეთის ველი. მის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთამდე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, იქ, სადაც 300 წლის წინათ მტრები ვაზს კაფავდნენ, რომ ამით ქართველობა გადაერჯულებინათ, გადაჭიმულია ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ზვრები, რომლის ფართობი ამჟამად 400-მდე ჰექტარს შეადგენს, ხოლო შვიდწლედის ბოლოს 800 ჰექტარს გადააჭარბებს.

ბახტრიონის აღმოსავლეთით ალაზნის მარცხენა ნაპირზე ნაზად შრიალებენ ვერხვები, რომლებიც ახმეტის სატყეო მეურნეობამ ამ ორი-სამი წლის წინათ გააშენა 100 ჰექტარზე.

ყოველივე ამას ქმნიან ადამიანები, ჩვენი გმირი წინაპრების ბედნიერი შთამომავლები.

ზემო ალაზნში ორი კოლმეურნეობაა: სტალინისა და მარქსის სახელობისა, რომლებშიც გაერთიანებულია 2.500-მდე კოლმეურნე. გასულ წელს ამ კოლმეურნეობების ფულადმა შემოსავალმა 6 მილიონ მანეთს მიაღწია. მან ჰექტარზე 100-120 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა, ხოლო მესიმინდეებმა 30-35 ცენტნერი მარცვალი მიიღეს. ახლა მათს ფარებში 40 ათასამდე ცხვარი ითვლება.

ქვემო ალაზანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში გაერთიანებულია 2.400 კოლმეურნე. ამ კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა გასულ წელს 5 მილიონს გადააჭარბა. ამ სოფლის ცენტრს ამშვენებს ლამაზი ორსართულიანი კაპიტალური შენობები კოლმეურნეობის კანტორისა და სამუალო სკოლისა. აქვეა კულტურის სახლი, სასოფლო საბჭოსა და სოფლის კოოპერატივის გამგეობის შენობები, ხოლო ცალკე ბაღში დგას ჯაჭვის ჩაჩქანანი ბიუსტი ბახტრიონის ბრძოლის მონაწილის ზეზვა გაფრინდაულისა.

სახე იცვალა მთელმა რაიონმა, და ამიტომ მისი მშრომელები ზეიმითა და დიდი სიყვარულით აღნიშნავენ დღევანდელ დღეს, როცა საძირკველი ეყრება ობელისკს ბახტრიონის ბრძოლებში დაღუპულ ქართველთა ხსოვნის პატივსაცემად.

თ. გაინდურაშვილი,

ახმეტის რაიონულ გაზეთ „გამარჯვების“ რედაქტორი.

ახალი ექსპონატები ილიას სახლ-მუზეუმში

საგურამოს მიდამოები და განსაკუთრებით ის ადგილი, სადაც ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის შენობაა, მწვანე ხეებსა და ვარდ-ყვავილებშია ჩაფლული. კეკლუცი ბუნებით შემკული სოფელი შორიდანვე იტაცებს ადამიანის თვალსა და გულს.

კარგა ხანია დაიწყო დიდი ქართველი მწერლის ილიას სახლ-მუზეუმის მასობრივი დათვალიერების სეზონი. ამ დღეებში აქ მრავლად მოდიან დამთვალიერებლები დედაქალაქიდან, მიმძე რესპუბლიკების სხვადასხვა კუთხეებიდან, სტუმრებს შორის იშვიათი როდი არიან საზღვარგარეთიდან ჩამოსულნი. ისინი დიდი სიყვარულით და გულისყურით ათვალიერებენ მუზეუმის თვითულ ექსპონატს, ისმენენ საინტერესო საუბარს საყვარელი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

დიდი ილიას სიყვარულმა შარშან საგურამოში მოიყვანა 26 ათასზე მეტი კაცი, მათ შორის მოძმე რესპუბლიკებიდან იყო ხუთი ათასამდე სტუმარი, ოთხასზე მეტი საზღვარგარეთელი, გაცილებით მეტ დამთვალიერებლებს ელიან წელს.

მასობრივი დათვალიერების სეზონის დადგომამდე მუზეუმის მეცნიერ მუშაკთა პატარა კოლექტივმა ნაყოფიერად იშრომა. რუსულ ენაზე გამოიცა „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი სტაციონარული ექსპოზიციის მეგზური“, შარშან გამოიცა აგრეთვე „შრომების“ პირველი წიგნი, რომელშიც მოთავსებულია ზოგიერთი გამოკვლევა, მუზეუმის ფონდში არსებული მასალების პუბლიკაცია და მოგონებები ილიაზე.

მუზეუმის მუშაკებმა დასაბეჭდად გაამზადეს შრომები „ილია ჭავჭავაძე — ხალხთა შორის მეგობრობის მომღერალი“, მონოგრაფია „ილიას სახლ-მუზეუმი საგურამოში“, „ძველი და ახალი ყვარელი“.

მუზეუმი გამდიდრდა საინტერესო ექსპონატებით. ლენინგრადში აღმოჩენილ იქნა ილიას სტუდენტობის პერიოდის პირადი საქმე რომელიც ნათელს ფენს პეტერბურგის უნივერსიტეტიდან ილიას გარიცხვის მიზეზს. ლიტერატურისა და ხელოვნების მოსკოვის ცენტრალურ სახელმწიფო არქივებში მეცნიერმა მუშაკმა მ. შონინამ მიაგნო ავტოგრაფების ცნობილი კოლექციონერის ო. ი. ფელდმანის ალბომს, რომელშიც აღმოჩნდა ილიას ორი ავტოგრაფი, ორივე დოკუმენტის პირები გამოფენილია მუზეუმში.

სახლ-მუზეუმის მუშაკებმა შეიძინეს ილიასეული კარადა, ოვალური ფორმის კაკლის ხის მაგიდა და სხვა ნივთები.

უფრო ლამაზი და მიმზიდველი გახდა მუზეუმის კარმიდამო, წელს აქ ორასამდე ძირი ვაშლისხე დარგეს და დაამუნეს, გაიზარდა ყვავილნარების და დეკორაციული ნარგავების ფართობი. დამთავრდა იმ შენობის აგება, სადაც დაიდგმება ცენტრალური გათბობის ქვაბი.

ა. თომაძე.

კვლავ უხმოგს ცხოვრებას...

„კოლხეთის ცისკარი“ ჟუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში

ჟუთაისმა ისევ მიიპყრო თეატრალური საზოგადოებრივის ყურადღება. თბილისიდან აქ საგანგებოდ მიეშურებიან სასცენო ხელოვნებით დაინტერესებული მწერლები, შემოქმედი მუშაკები, რათა განიცადონ მაღალმხატვრული წარმოდგენებით აღძრული სიხარული. ჟუთაისის თეატრი ეტყობა იბრუნებს იმ შემოქმედებითი ზეგავლენის ძალას, რის დაკარგვასაც მას ამ ცოტა ხნის წინათ უჩიოდნენ და სავსებით მართებულადაც. ჟუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრმა აკაკი გასაძის ხელმძღვანელობით უკვე გვიჩვენა ღირსშესანიშნავი დადგმები: ვაჟაფშაველას „მოკვეთილი“, აღ. სუმბათაშვილის „ღალატი“ და, რაც განსაკუთრებით დასაფასებელია, საბჭოთა ადამიანების შრომისა და ბრძოლის ამსახველი ამაღელვებელი წარმოდგენა „კოლხეთის ცისკარი“ — კონსტანტინე ლორთქიფანიძის ცნობილი რომანის ინსცენირება.

თეატრს აღებული აქვს გეზი ორიგინალურ ქართულ რეპერტუარზე, თანამედროვეობის ამსახველ პიესებზე. რეპერტუარისათვის შეუნელებელი მზრუნველობა აქ განაყოფიერებულია მწერლებთან მჭიდრო შემოქმედებითი თანამშრომლობით.

ჟუთაისის მაყურებელიც არ დარჩა ვალში. მაყურებელსა და სცენას შორის ისევ აღდგა თეატრში მჭიდრო ურთიერთობა, რითაც სახელგანთქმულია ამ ქალაქის თეატრალური ცხოვრება. როდესაც თბილისიდან ჟუთაისში ჩასული მწერლები და ჟურნალისტები ჟუთაისის საავტომობილო ქარხნის საამქროებში შევხვდებოდნენ გმდნარი ფოლადის ოხშივარში ნაწრთობ ქართველ ვაჟკაცთა შრომას, ავტომობილის დეტალებზე მომუშავე ასობით ქალიშვილს, რომელსაც საშუალო განათლება აქვთ მიღებული, ჩვენ ვგრძნობდით, თუ რა დიდ ხელოვნებას იმსახურებენ ისინი შთაგონებული და თაყვანდებული შრომით. მათი სახით ჩვენ გავეცანით, არა მარტო ქართული ავტომობილის ოსტატებს, არამედ სასცენო ხელოვნებით დაინტერესებულ მაყურებლებსაც, რომლებიც ამაყობენ თავიანთი თეატრის მიღწევებით. თავის მხრივ თეატრიც დიდად აფასებს თავის გულისხმიერ მაყურებელს — გმირული შრომით სახელმოხვეჭილ მუშებს და ჟუთაისის ღვაწლმოსილ ინტელიგენციას. თეატრი ამზადებს და მომავალ სეზონში გვიჩვენებს ლეო სანიკიძის პიესას, რომელიც ასახავს ქართული ავტომობილის შემოქმედ ადამიანთა ცხოვრებას.

და აი ჩვენ თეატრში ვართ, ვუცქერით კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარს“, რაც შესაძლებელი წვდომით არის ინსცენირებული თვით ავტორის, ა. ვასაძისა და ლ. სანიკიძის მიერ. რასაკვირველია, ჩვენი თეატრისათვის მთავარია მოიპოვოს თანამედროვე თემაზე დრამატურგიის თავისთავადი ნაწარმოები, მაგრამ ის ვერ იტყვის უარს ქართული თანამედროვე ბროზის საუკეთესო ქმნილებათა ინსცენირებაზე.

„კოლხეთის ცისკარმა“ წარმოგვისახა საკოლმეურნეო ცხოვრების განვლილი ხანა, როდესაც გამწვავებული კლასობრივი ბრძოლების პირობებში ყალიბდებოდა ახლის მშენებელი ადამიანი თავისი მაღალი ზნეობრივი თვისებებით და წინააღმდეგობათა გადამლახველი მიზანსწრაფული სულისკვეთებით. განსაკუთრებით ძვირფასია კ. ლორთქიფანიძის ამ რომანში ახალგაზრდა ადამიანთა სახეები, რომელთა ხასიათები ირკვევა მწვავედ განცდილი სიყვარულის გრძნობის და საზოგადოებრივი მოვალეობის ჭიდელში, ცხოვრებისეულ ურთიერთობაში, სადაც გმირები მოქმედებენ სულიერი ძალების მთელი დაძაბვით. დაბრკოლებათა გადამლახველი ნებისყოფით და მიზანსწრაფვით. რომანის დრამატულმა სიმძაფრემ განაპირობა მისი ინსცენირების წარმატება. „კოლხეთის ცისკრის“ ინსცენირება მხატვრული ტექტით არის გამართული,— სცენის თავისებურებათა სრული გათვალისწინებითა და რომანის დრამატული ვნებიანობის შენარჩუნებით. ვრცელი რომანიდან მარჯვედ არის გამორჩეული ხასიათის ცხადყოფისათვის ხელსაყრელი მდგომარეობანი, გათვალისწინებული დრამატული კომპოზიციისათვის სიტყვის „მოკლედ მოკრის“ აუცილებლობა და მიღწეულია მოქმედების მძაფრი და შეუფერებელი განვითარება და მთლიანობაც, რაც ამ ინსცენირებას დამოუკიდებელი დრამატული ნაწარმოების ღირსებას ანიჭებს.

„კოლხეთის ცისკარი“ ჟუთაისის სცენაზე განხორციელებულია საბჭოთა სასცენო ხელოვნების დანიშნულების ღრმა შეგნებით. სპექტაკლი გვიჩვენებს სოფლად „დიადი გარდატეხის“ ამაღელვებელ სურათს, საკოლმეურნეო მოძრაობის გამარჯვებას, სოციალიზმის უბროტესი მტრის, ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელი ექსპლოატატორული კლასის — კულაკობის განადგურებას, რითაც საბოლოოდ მოისპო ჩვენი ქვეყნის შიგნით კაპიტალიზმის აღდგენის უკანასკნელი შესაძლებლობაც. „კოლხეთის ცისკარი“ მებრძოლი სცენიური ნაწარმოებია, რომელიც შთამგონებლად უმღერის ახლის გამარჯვებას ძველზე, გულღიად და სიმართლით გვიჩვენებს და მწვავედ განგვ

ფ. რ. კოზლოვი ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 3 ივლისი. (საკდისი). გუშინ საუზმის შემდეგ, რომელიც მის პატივსაცემად გამართეს სასტუმრო „სტატლერში“, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ფ. რ. კოზლოვმა გაისეირნა ქალაქში.

ვაშინგტონის ერთ-ერთ ქუჩაზე იგი შევიდა სასურსათო მაღაზიაში, ესაუბრა მყიდველებს, აინტერესებდა ვაჭრობის ორგანიზაცია მაღაზიაში. ერთ-ერთი გამყიდველი ქალი გულთბილად მიესალმა საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეს რუსულ ენაზე და განაცხადა: ჩვენ არ გვსურს ომი. თუ ჩვენი ორი ხალხი მეგობრულად იცხოვრებს, უპასუხა მას ფ. რ. კოზლოვმა, ომი არასოდეს არ იქნება.

გამყიდველნი სიპატიო სტუმრის სთავაზობენ სხვადასხვა საქონელს. იგი მადლობას უხდის მათ და იუბნება: თუ მე ავიღე ყველფერი, რასაც მთავაზობთ, კარში ველარ გავიტანე.

როცა ფ. რ. კოზლოვი გამოვიდა მაღაზიიდან, მასთან მივიდა ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრები, რომელმაც ძლიერ ლიობით გაარღვია „ორესპონდენტთა და ფოტორეპორტიორთა რიგები. მას ხელში ჰქონდა გრამაფონის ფირფიტები, რომლებზეც ჩაწერილია მუსიკა ოსტროვსკისა და ალბერტის შესრულებით. იგი სთხოვს ფ. რ. კოზლოვს ავტოგრაფს სამახსოვროდ. თხოვნა დაკმაყოფილებულია.

შემდეგ ფ. რ. კოზლოვმა დაათვალიერა სტანდარტული ფასების მაღაზია. მან ნახა საქონელი, დაინტერესდა მათი ფასებით, ესაუბრა მყიდველებსა და გამყიდველებს.

2 ივლისს საღამოს სსრ კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში მ. ა. მენშიკოვმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ფ. რ. კოზლოვის პატივსაცემად გამართა დიდი დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი რ. ნიქსონი და მისი მეუღლე, რესპუბლიკელთა ლიდერი სენატში სენატორი ე. დირქსენი; წარმომადგენელთა პალატის სპიკერი ს. რეიბერნი.

ვაშინგტონი, 3 ივლისი. (საკდისი). დღეს დილის 7 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით ფ. რ. კოზლოვი და სხვა საბჭოთა სტუმრები ვაშინგტონიდან გაფრინდნენ საკრამენტოში (კალიფორნიის შტატი). გაფრენის წინ ფ. რ. კოზლოვმა გაკეთა მოკლე განცხადება, რომელშიც აღნიშნა, რომ მისი ყოფნა ვაშინგტონში იყო საინტერესო და საინტერესო. მან წარმატება უსურვა ვაშინგტონელებს.

ამხ. კოზლოვი აეროდრომზე გააცილეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ევროპის საქმეებში ლ. მერჩენტმა და სახელმწიფო დეპარტამენტის სხვა წარმომადგენლებმა, აგრეთვე ვაშინგტონში საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებმა.

თავისუფლება მანოლის გლეზოსს!

საბერძნეთის საელჩომ უარი თქვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა პროტესტის მიღებაზე

8 ივლისს მოსკოვის იურიდიული საზოგადოებრიობის, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საორგანიზაციო ბიუროს და საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის წარმომადგენელნი მივიდნენ საბერძნეთის საელჩოში, რათა გადაეცათ ამ ორგანიზაციების განცხადებანი საბერძნეთის მთავრობის სახელზე, რომლებშიც გამოთქმულია პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ ამირებენ გაუსწორდნენ მანოლის გლეზოსს. საელჩოში მათ აცნობეს, რომ ისინი საღამოს ხუთ საათზე შეიძლება მიიღოს დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა.

მაგრამ, როცა ამ ორგანიზაციების წარმომადგენელნი — მახოლის გლეზოსის დაცვის პარიზის საერთაშორისო კომიტეტის წევრი პროფესორი ჟ. პ. გორშენინი, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე დ. პ. გორიუნოვი და საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის წარმომადგენელი მ. ფ. ლუკინი — მივიდნენ დანიშნულ დროს საელჩოში, გამოირკვა, რომ დროებითი რწმუნებული იქ არ არის. საბჭოთა საზოგადოებრიობის დელეგაციას შეხვდა საელჩოს მესამე მდივანი ა. ნ. პროტონოტარიოსი, რომელმაც უხდილობა გამოიჩინა, მიიღო რა დელეგაცია ვესტიბიულში და უარი თქვა გადაეცა დროებითი რწმუნებულისათვის სამი საბჭოთა ორგანიზაციის განცხადებანი.

დელეგაციის წევრები იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ საელჩოში განცხადებათა ტექსტები, რათა ასე მაინც ეცნობებინათ მათი შინაარსი საბერძნეთის მთავრობისათვის. (საკდისი).

უზრუნველყოთ ევროპის მშვიდობა და უშიშროება

3 ივლისს ევროპაში დაძაბულობის შენელებისა და უშიშროებისათვის კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ვარშავას გაემგზავრა საბჭოთა ქვეყნის საზოგადოებრიობის დელეგაცია, რომელშიც შედიან საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრი ლ. ნ. სოლოვიოვი (დელეგაციის ხელმძღვანელი), მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი მწერალი ი. ერენბურგი და სხვები.

ვარშავის კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნებიან ევროპის ქვეყნების სხვადასხვა ორგანიზაცია და ჯგუფები, აგრეთვე საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის, ევროპაში ომის საფრთხის წინააღმდეგ. (საკდისი).

დე გოლი მადაგასკარს გაემგზავრა

პარიზი, 3 ივლისი. (საკდისი). გუშინ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი დე გოლი მადაგასკარს გაემგზავრა.

სტუმრად ყოფნა კარგია, მაგრამ შინ უკეთესია!

✦

მოგონებანი ციურიხზე

✦

ციურიხის კონგრესჰაუზის ლამაზად მოოთულ დარბაზში შეიკრიბნენ ტურნირის მონაწილეები, პრეზიდენტები, დიპლომატები, ორასამდე წარჩინებული სტუმარი მსოფლიოს უძველესი საჭადრაკო კლუბის 150 წლისთავის გამო მოწყობილი საიუბილეო ტურნირის სახეიმო დახურვაზე.

კაცები მოვიდნენ მუქი კოსტიუმებით, ქალები — საღამოს ან ნახევრადსაღამოს კაბებით. ერთი ახალგაზრდის გამოჩენა იწვევს ტაშსა და ირონიულ ღიმილს: იგი სმოკინგსა, საზეიმო საღამოზე მოვიდა დასრულილი შარვლით და ჩვეულებისამებრ თავისი კოკბოლრათი. ეს არის ბობი ფიშერი, ამერიკის შეერთებული შტატების 16 წლის ჩემპიონი.

სცენაზე გაიწვიეს ტურნირში გამარჯვებული მიხეილ ტალი. იგი საზოგადოების დიდი სიყვარულით სარგებლობდა, და მას მქუხარე ოვაცია მოეწყვა. ბრწყინვალე სტილით ნაწარმოებულ ბრძოლაში მოპოვებული ათი გამარჯვების სახსოვრად მას გადასცეს სუვენირი — ოქროს საათი. რიგრიგობით იწვევდნენ მოჭადრაკეებს ტალით დაწყებული და ბლაუთი და ნიგერგელტით დამთავრებული, რომლებმაც უკანასკნელი ადგილები დაიკავეს, მაგრამ საათები მაინც მიიღეს.

ტურნირის მონაწილეთათვის პრიზების გადაცემის ამ საზეიმო ცერემონიის შემდეგ სცენაზე გაიწვიეს ხუთი ვეტერანი, რომლებიც მონაწილეობდნენ ციურიხის 1934 წლის ტურნირში, როცა კლუბი ჯერ კიდევ „ახალგაზრდა“ — სულ 125 წლისა იყო. ესენი იყვნენ გიგლი, იონერი, გრობი, გენებერგერი და ფლორი. მე უკვე „შემეშინდა“, საათს გადმომცემენ-მეთქი, მაგრამ საქმე ყვავილების გადმოცემით „დამთავრდა“.

მე სპეციალურად დავიწყე ტურნირის დახურვიდან, რათა მკითხველისათვის ნათელი იყოს შეეცადოთ ჩემი მილოლინების მიზანი და ამოცანა. საქმე ის არის, რომ მე, როგორც ციურიხის 1934 წლის ტურნირის ერთ-ერთი „ნაშთი“, წელსაც მიწვეული ვიყავი, რომ როგორც საპატიო სტუმარი დავსწრებოდი დიდ საიუბილეო ტურნირს. ა. ალიოხინი, ე. ლასკერი, ა. ნიმცოვიჩი, ე. ბოგოლიუბოვი ხომ ცოცხალი ალარ არიან.

მე, რა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებით მივიღე მიწვევა. ყოველდღე როდი გვაქვს შესაძლებლობა ხედავდე შეეცარიაა—ტბების, მთების, ტურიზმისა და საათების ამ საუცხოო ქვეყანას. მთელი შეეიცარია თვალწარმტაც ბაღსა ჰგავს. თუ ჩარი ჩაპლინმა გადაწყვიტა მოხუცებულობაში მუდამ ისუნთქოს სუფთა ჰაერი და თავისი ოჯახით შეეიცარიაში დასახლდა, შეგიძლიათ ეჭვი არ იქონიოთ, რომ სახელგანთქმულ გენიალურ მსახიობს დედამიწის ცუდი კუთხე რომ ამოურჩევია.

შეეიცარია თავისი სილამაზით, თავისი ბუნებით, თავისი მოხერხებულობით მომსახურებას უწევს ტურისტებს. რომელი ქალაქია ყველაზე ლამაზი? ძნელი სათქმელია. ციურიხის მცხოვრებნი ხმას აძლევენ ციურიხს, ბერნელები დედაქალაქს ამჯობინებენ, ბევრს არ ეეჭვება, რომ ყველაზე ლამაზი ადგილია ჟენევა ან ლოზანა.

ციურიხში არის ადგილები, სადაც შეიძლება წასვლა დღისითაც, საღამოთიც და ღამითაც კი. მაგრამ წარმოდგენეთ, რომ ციურიხის ყველა სიმშვენიერე, ყველა მიმზიდველი ადგილი, საშინელი, თითქმის ტროპიკული სიცხე ვერ უშლიდა იმას, რომ ათასამდე ყაცი მოთხოვნილება იყო ტალსა და ერესზე. მაგრამ ვინაიდან დრო მაინც შეზღუდული იყო (პრეტენდენტთა ტურნირისათვის ხომ უნდა ემზადონ!), მათ თანხმობა განაცხადეს ხუთ გამოსვლაზე. ტალის დიდი სეანსი გაიმართა ციურიხში. ამ სეანსში ოსტატებიც კი მონაწილეობდნენ, მათ შორის გენებერგერიც, 1934 წლის ტურნირის მონაწილე. 76 წლის ოსტატმა... სეანსში წაგო.

დიდი სეანსი გაიმართა ძველ ქალაქ სოლოტურნში, სადაც კერესმა 39 პარტია ითამაშა და მხოლოდ ერთი დაამთავრა ყაიმით. ღამით ტალი და ამ სტრიქონების ავტორი ჩავიდნენ სოლოტურნში. სასტუმრო „კრონე“ იმით არის განთქმული, რომ იქ ოდესღაც ღამე გაუთევია ნაპოლეონს. არ ვიცი რა ესიზმრებოდა ტალს, როცა „ნაპოლეონის ოთახში“ ეძინა!

მეორე დღეს — ეს კვირა იყო — ყველანი ქენევაში წავედით, რომ მოჭადრაკეებს შეეხვედროდით. კერესმა რამდენიმე დაფაზე ითამაშა და ერთი დამარცხება მაინც განიცადა.

დავათვალიერეთ ეს საუცხოო ქალაქი, ვუცქერდით მონბლანს — „მოხუცს“, როგორც მას იქ ეძახიან. ამ კვირადღეს ყველამ დიდი აქტივობა გამოვიჩინეთ. დღისით დავათვალიერეთ ლოზანა, საღამოს კი გამოვედით შეეიცარიის დედაქალაქ ბერნში. ხშირად ვიგონებდით კვეკსიას. მაგალითად, ქენევაში შეიძლება ნახოთ მაგნოლიები, როგორც გაგრაში.

შეეიცარიაში ერთ თვეს ყოფნისას ბევრი ახალი მეგობარი შევიძინეთ. განსაკუთრებით გულთბილად და მეგობრულად გვეპყრობოდნენ.

ძალიან დიდი გამარჯვებით, მრავალი შთაბეჭდილებით გამოვეთხოვეთ სტუმართმოყვარე მასპინძლებს.

ორი საათის ფრენის შემდეგ ჩვენი მგზავრობა კიდევ არ არის დამთავრებული. მივფრინდავთ ამსტერდამის გავლით. ეს, რა თქმა უნდა, შეიტყეს ჰოლანდიელმა მოჭადრაკეებმა. კერესსა და მე ჰოლანდიაში დიდი ხანია გვიცნობენ, მაგრამ მიშა ტალი იქ ჯერ კიდევ არ ყოფილა. გასაგებია, რომ ჰოლანდიელებმა გვთხოვეს ერთი სეანსი მაინც გაგვეკეთებინა ამსტერდამში. ყველანი დავთანხმდითო.

ტბებისა და მთების ქვეყნიდან — შეეიცარიიდან მივფრინდით ჰოლანდიაში — არხების, ყვავილებისა და ვაკეების ქვეყანაში. თბილისში ალბათ ძალიან გაუკვირდებათ, როცა შეიტყობენ, რომ ყველაზე მაღალი „მთა“ ჰოლანდიაში 300 მეტრამდეა!

რა თქმა უნდა, ყვავილებით გვხვდებიან. აეროდრომზე არიან ჩვენი ძველი მეგობარი — მსოფლიოს ექსჩემპიონი დოქტორი მ. ეივე, კორესპონდენტები. ერთი საათი დავისვენეთ და კვლავ მუშაობაში ჩავიბეთ: ტალსა და კერესს შეკითხვებს აყრიან რადიომიკროფონთან.

კიდევ ორი საათი დასვენება, პატარა ბასკეტი „ადოლფინი“, სადაც 1954 წელს ოლიმპიადა გაიმართა. ამ დიდ დარბაზში, სადაც 1935 და 1937 წლებში ალიოხინი და ეივე იბრძოდნენ, ჰოლანდიელებმა მოაწყეს ერთდროული თამაშის სეანსები, რომლებიც ჰადრაკის ისტორიაში უდიდესი იყო. ტალი, კერესი, ეივე, ფლორი, დონერი და კიდევ 10 ჰოლანდიელი ოსტატი ებრძოდა ამსტერდამის 450 (!) საუკეთესო მოჭადრაკეს. ტალი და ფლორი 40 დაფაზე თამაშობდნენ, კერესი და ეივე — 30 დაფაზე და ა. შ.

მეორე დღისათვის შეკვეთილი გვქონდა ბილეთები „ტუ-104“ თვითმფრინავით ზოსკოვში გასაფრენად. ეს თვითმფრინავი სახლვარგარეთ უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. ბევრი მგზავრი ელოდება და სწორედ იმ დღეს ირჩევს, როცა „ტუ-104“ მიფრინავს.

თვითმფრინავში უკვე ისე ვართ, როგორც შინ. არავის არ სჭირდება თარჯიმანი.

ყველანი კარგ ხასიათზე ვართ. მიშა ტალს ჰეკა არყოს დალევაც კი სურს. მაგრამ სტიუარდესა უპასუხებს, რომ მხოლოდ „წინანდალი“ აქვს. „ო, „წინანდალი!“ საოცნოოა!“ თითო ჭიქა „წინანდალს“ ვსვამთ გამარჯვებულს სადღეგრძელოდ და ბედნიერი დაბრუნებაათვის. ვსაუბრობთ რუსული ხიზილალით და... მავი პურით, რომელსაც ყველანი ზარბად ვეტანებით. მთელი თვეა შავი პური არ გვიჭამია...

თვითმფრინავი სავსეა და შეიძლება ითქვას, ცოტა „გადატვირთულიც“ არის. მგზავრებს შორის არიან არა მარტო ჰადრაკის გროსმაისტერები: ჩვენთან ერთად მოფრინავენ ამერიკელი მოჭიდავეები: ზორბა, „ბიჭები“ არიან — თვითეული 100-130 კილოგრამს იწონის. აი ნამდვილი „გროსმაისტერები“!

მაგრამ მიუხედავად მთელი სიმძიმისა, „ტუ-104“ მსუბუქად, ზოზდენილად, ფრინველივით ჯდება ვნუკოვოში.

შინა ვართ. ხოლო როგორც ცნობილია, სტუმრად ყოფნა კარგია, მაგრამ შინ უკეთესია!

გროსმაისტერი
სალო ფლორი.

სურათზე: სეანსი ამსტერდამში. ქალაქის მერი აკეთებს პირველ სვლას მიხეილ ტალის მაგივრად...

საერთაშორისო ოსტატის ვ. გოგლიძის რედაქციით

ვ. ზიზოვი



ა. ბუსლაევი

თეთრები: ⚇g1:h2, ♕c2, ♗a1 e1, ♘e3, ♙g2, ♙d2, ♙e2, ♙♙: b2, c4, d5, e4, g3, h3 (სულ 14).

შავები: ♔g8, ♖e8, ♗b8, ♗f8, ♘e8, ♙g7, ♙e7, ♙f4, ♙♙: a6, c5, d6, e5, g6, h7 (სულ 14).

• • •

მოგვყავს საქართველოს 1959 წლის პირველობის გათამაშების ფინალში ა. ბუსლაევისა და მ. შიშოვის პარტიის დაბოლოება.

აღნიშნული პოზიცია შეიქმნა შავების 25-ე სვლის შემდეგ.

26. d:f4 e:f4 27. g:f4 g:b2 (კომბინაციის შედეგად ძ. შიშოვი ეტლით შეიჭრა ეიოოე ხახუ და, რაც მთავარია, შავ არეზე ძოკმედ კუს გაებსება დიაგონალი). 28. ♖e1? (ცუდად შერჩეული უჯრედია ლაბიერის უკან დაბევისათვის. როგორც შემდეგ ცხადი გახდა, აქ უკეთესი იყო 28. ♖d3), 28... ♗e5 29. ♗f3 ♖d7! (შამათის ძუქარაა ორ სვლაში: 30. ♖:h3+ და 31. ♖:g2×). 30. ♗g1 ♗d4 31. ♗e3 g:f2 (ოსტატმა შიშოკმა უძლიერესი ძეტევა განავითარა. ახლა იგი იმუქრება 32... ♗b2 სვლით და ეტლის მოგებით). 32. ♗e3? (ა. ბუსლაევი ძლიერ ცაიტნოტში იცყოფებოდა და ვერ შენიშნა ძოწინააღძდეგის ძუქარა. უკეთესი იყო 33. g:h3, თუმცა ამ შეკითხვებიც მაკეთის უპირატესობა უდაოა). 32... ♗b2 33. ♖b1 ♗:a3 34. ♗:f2 g:f2 35. e5 d:e5 36. g:e3 ♗b2 37. g:e4 ♗f6 38. ♖e1 ♗a2 39. ♖b1 g:b2 40. ♖c1 ♖d6.

ცაიტნოტი დამთავრდა. ა. ბუსლაევს ფიგურა აკლდა და მან პარტია დათმო.

25-ე სვლაზე ადაოწყეტული კომბინაციიდ მემდეგ ოსტატმა ძ. შიშოვმა დამაჯერებლად გაათიყენა პოზიციური უპირატესობა.

სსრ კავშირი — იუგოსლავია

3 ივლისს კიევში შედგა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების ტრადიციული მატჩის მეორე ტური.

გროსმაისტერმა კორჩნოიმ ძლიერად ჩაატარა პარტია კარაკლაიჩთან და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. ოსტატმა იუტტამამ, რომელმაც მერვე დაფაზე შეიცვალა გუფეელი, ორმხრივ ცაიტნოტში აჯობა მატულოვიჩს და გაიმარჯვა. ლაზარევიჩმა დაამარცხა ვოლპერტი. ხოლო ბერტოკმა 42-ე სვლაზე მოუგო გელერს.

სმისლოვ-ბლეგორიჩის, მატანოვი ჩიპეტროსიანის, ავერბახ-ჯურაშვილიჩისა და მილოიჩ-ტაიმანოვის პარტიებში მოწინააღმდეგენი ყაიმით დაკმაყოფილდნენ. ბროსშტეინ-ფუდერეროსა და ბიკოვა-ნეიფელ-კოვიჩის პარტიები გადაიდო.

ორი ტურის შემდეგ მატჩის ანგარიშია 8:7 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ. გუშინ მოიწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

ცსკა მო — „შახტიორი“

მოსკოვი, 4 ივლისი. გაიმართა XXI ჩემპიონატის მორიგი შეხვედრა ფეხბურთში ცსკა მო-სა და სტალინოს „შახტიორის“ გუნდებს შორის. შეჯიბრების შედეგია 2:0 ცსკ მო-ს გუნდის სასარგებლოდ.

სსრ კავშირის თასზე

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა მორიგი შეხვედრა ფეხბურთში სსრ კავშირის თასზე. თამაშობდნენ თბილისის სკვო-სა და დონის როსტოვის „როსტსელმაშის“ გუნდები. გაიმარჯვეს თბილისელებმა 7:2.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

მსოფლიოს რუკასთან ეთიოპია

აფრიკის უძველეს დამოუკიდებელ სახელმწიფოს ეთიოპიას რამდენიმე ათასი წლის ისტორია აქვს. ეთიოპიის ქრონიკები მოგვითხრობენ ლეგენდარულ მამამთავარ ეთიოპზე, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ცხოვრობდა და რომლის სახელიც ახლა ეწოდება ამ ქვეყანას.

თავისი თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი არსებობის უფლების დაცვა ეთიოპს ხალხს მოუხდა გარეშე მტრების წინააღმდეგ. მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში.

ეთიოპიას უჭირავს მილიონზე ცოტა მეტი კვადრატული კილომეტრი ფართობი, ე. ი. საფრანგეთზე ორჯერ მეტია და იტალიაზე სამჯერ და კიდევ უფრო მეტი. აღმოსავლეთ აფრიკის ცხელ უდაბნოებს შორის ეთიოპია აღმართულია როგორც გიგანტური ბუნებრივი ციხე-სიმაგრე ძნელად მისადგომი უღელტეხილებით, ზეგნებითა და მთის ველებით.

გეოგრაფიული და კლიმატური მხრივ ეთიოპიის ტერიტორია სამ ზონად იყოფა: კოლა, ვოინა-დეგა, დეგა. კოლა ცხელი, ძლიერ ტენიანი, ტროპიკული ტყეებით დაფარული ან უდაბური და ჭაობიანი სივრცეებია, სადაც შედარებით იშვიათია მოსახლეობა. ვოინა-დეგას ზონა მდებარეობს 1.500-2.500 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან და წარმოადგენს ქვეყნის ყველაზე ხშირად დასახლებულ ნაწილს. ამ რაიონის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას მისდევს. მესამე ზონა, დეგა, ეთიოპიის ყველაზე მაღალი ნაწილია. მის ალპურ მდელოებზე მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის საძოვრებია.

მეცხოველეობა ახლაც ეთიოპიის სოფლის მეურნეობის საფუძველია. ეთიოპიის ეკონომიკა ეფუძნება ერთ-ერთ ძველ ადგილი უჭირავს მსოფლიოში.

ეთიოპიის ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყავა, რომელიც დამსახურებული სახელით სარგებლობს მსოფლიო ბაზარზე. მისი ექსპორტით მიღებული შემოსავალი ეთიოპიის მთელი ექსპორტის ღირებულების 60 პროცენტზე მეტს შეადგენს.

ეთიოპიაში არ წარმოებულა სისტემატური გეოლოგიური ძიება; მისი წარმოდგენა ალბად არის შესწავლილი. ჯერჯერობით ცნობილია სპილენძის, რკინის მადნის, გოგირდის, ქარსის, ქვანახშირის ბუდობები.

ეთიოპიის დამოუშავებელ მრეწველობას მცირე რაოდენობით აქვს საწარმოები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებას ეწევიან. მათი მეტი ნაწილი ცენტრალურ რაიონებშია თავმოყრილი. ეთიოპიის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ცნობარის მონაცემებით, 1957 წელს ეთიოპიაში იყო 132 სამრეწველო საწარმო, რომლებშიც 20 ათასამდე კაცი მუშაობდა.

1954 წელს ეთიოპიაში დაიწყო მუშაობა ქვეყნის ეკონომიური განვითარების საყოველთაო გეგმის შესადგენად. უკვე მომზადებულია ხუთწლიანი გეგმა, რომელიც 1957-1961 წლებს მოიცავს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა ლიკვიდირებულ იქნა იტალიის კოლონიები აღმოსავლეთ აფრიკაში, ეთიოპიამ მიიღო საკუთარი გასასვლელი ზღვის სანაპიროზე.

ეთიოპიაში არასოდეს არ გატარებულა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. ოფიციალური მონაცემების თანახმად, ეთიოპიაში ცხოვრობს 18-20 მილიონი კაცი, ერიტრეის მოსახლეობის ჩათვლით, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, 1 მილიონ კაცს აღემატება.

თავისი სახელმწიფოებრივი წყობილებით ეთიოპია კონსტიტუციური მონარქია. ამჟამად მოქმედი კონსტიტუცია გამოქვეყნდა 1955 წლის 4 ნოემბერს და ითვალისწინებს, რომ ეთიოპიის მთავრობის მინისტრებს ნიშნავს იმპერატორი. პარლამენტს აქვს საკანონმდებლო ფუნქციები და შედგება ორი პალატისგან — დეპუტატთა პალატისა და სენატისაგან.

ეთიოპიის საზოგადოებრიობა დიდი ყურადღებით, თანაგრძნობითა და სიმპათიით ეკიდება აფრიკის ხალხების ბრძოლას კოლონიური დამონებისა და ექსპლოატაციისაგან თავიანთი განთავისუფლებისათვის. სოლიდარობას უცხადებენ რა აფრიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ეთიოპიის გაზეთები მკაცრად გმობენ დასავლეთის სახელმწიფოთა ცდებს, რომ აფრიკაში დატოვებულ იქნას კოლონიური წესები. 15 აპრილს, როცა ეთიოპიის საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავდა აფრიკის თავისუფლების დღეს, იმპერატორმა ჰაილე სელასიემ სიტყვა წარმოქვა ადის-აბების რადიოთი და განაცხადა: „საჭიროა ნათლად შეგნება, რომ აფრიკის ხალხები და ტერიტორიები აღარ შეიძლება განხილულ იქნან როგორც კოლონიური ინტერესების ნაკრძალი ან დარჩნენ იმპერიალისტურ შეთქმულებათა ობიექტად“.

მეგობრული ურთიერთობა ჩვენი ქვეყნის ხალხებსა და ეთიოპიის შორის ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში დამყარდა.

შორეული ეთიოპიის ცხოვრებასთან საზოგადოებრიობის გაცნობაში თავის მხრივ ძვირფასი წვლილი შეეტანეს რუსმა მოგზაურებმა — აფრიკის მკვლევარებმა. XIX საუკუნის მეორე ნახევრის მოგზაურთა შორის უნდა მოვიხსენიოთ ა. ვ. ელისეევი, ლ. კ. არტამონოვი, ნ. რ. ლეონტიევი, პ. ვ. შჩუსევი და ა. კ. ბულატოვიჩი, რომელთა ნაშრომები დიდ ინტერესს წარმოადგენს მეცნიერებისათვის. ა. ვ. ელისეევმა, პირველმა რუსმა მოგზაურმა, რომელიც 1895 წელს ეწვია ეთიოპიის პროვინციათა ხარარს, სადაც გუბერნატორად იყო რას მაკონენი — ეთიოპიის ახლანდელი იმპერატორის ჰაილე სელასიე პირველის მამა, თავის დღიურში ჩაწერა: „არასოდეს არ დამავიწყდება, თუ რა გვითხრა ერთი შეხვედრის დროს რას მაკონენმა, ეთიოპიის უფროსად ერთ-ერთმა ყველაზე ჭკვიანმა და შორსმჭვრეტელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ: ჩვენ მხურვალედ გვსურს, რომ რუსეთი ყოველთვის სიმპათიით გვეპყრობოდეს, სჯეროდეს მისი თანამორწმუნე ხალხის მეგობრობა (ეთიოპები ქრისტიანული რელიგიის მიმდევრები არიან — ა. ს.) და კეთილ რჩევა-დარიგებას აძლევდეს ამბილინას“ (ასე ეწოდებოდა იმ დროს ეთიოპიას — ა. ს.).

რუსეთისა და ეთიოპიის ხალხებს შორის არსებული მჭიდრო ურთიერთობა პირველი მსოფლიო ომის წლებში დაირღვა. დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ეთიოპიას შორის მხოლოდ 1943 წლის ზაფხულში დამყარდა. მაგრამ ოფიციალური ურთიერთობის დამყარებამდე ბევრად ადრე საბჭოთა ადამიანები, რომლებიც ეთიოპიაში ჩადიოდნენ, იქ ყოველთვის ხვდებოდნენ მეგობრულ და გულთბილ მიღებას. 1927 წელს ეთიოპიაში იყო საბჭოთა ექსპედიცია, რომელიც მოაწყო მეცენარეობის სრულიად საკავშირო ინსტიტუტმა კულტურულ მცენარეთა სახეობისა და ჯიშების შესასწავლად. ოცდაათიანი წლების დამდეგს ეთიოპიაში საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლები ჩავიდნენ. იმ დროსვე ხელმოწერილ იქნა პირველი ხელშეკრულებანი ეთიოპიისათვის საბჭოთა საქონლის, კერძოდ, ნავთობპროდუქტების მიწოდების შესახებ. იტალიის ფაშიზმის დანაშაულებრივმა აგრესიამ ეთიოპიელ ხალხის წინააღმდეგ 1935-36 წლებში ხელი შეუშალა სსრ კავშირსა და ეთიოპიას შორის ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

დღეს ჩვენს ქვეყანასა და ეთიოპიას შორის ურთიერთობა განახლებულია და სულ უფრო მტკიცე ხდება. ეთიოპიის საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენს საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებისადმი. მუდამ წარმატებით სარგებლობს ადის-აბებაში მოწყობილი გამოფენები, რომლებიც საბჭოთა კავშირის ეკონომიკისა და კულტურის მიღწევებს ასახავს. მხურვალედ ხვდებიან საბჭოთა ფილმებს, რომლებსაც ადისაბების კინოთეატრებში აჩვენებენ. 1947 წლიდან ადის-აბებაში მოქმედებს ჰოსპიტალი, რომელიც ეთიოპიის მთავრობის თხოვნით გახსნა საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებამ. ეთიოპიის დედაქალაქში კვლავ მუშაობენ სხვადასხვა სპეციალობის მაღალკვალიფიციური საბჭოთა მედიკები, რომლებიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ მოსახლეობაში. მტკიცდება სავაჭრო ურთიერთობაც ჩვენს ქვეყანასა და ეთიოპიას შორის.

საბჭოთა საზოგადოებრიობა დიდი ამაყოფილებით შეხვდა ეთიოპიის იმპერატორის ჰაილე სელასიე პირველის ჩამოსვლას ჩვენს ქვეყანაში. ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს ორ ხალხს შორის ტრადიციული კეთილი ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას და მათს ნაყოფიერ თანამშრომლობას მათ საკეთილდღეოდ და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

ა. სტუპაკი.

ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბების ქუჩაში.

ფოტო პ. ეგოროვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).



თბილისში ჩამოვიდნენ ამერიკელი გუბერნატორები

თბილისის აეროდრომი. ზაფხულის ამ დღეებში აქ განსაკუთრებული გაცხოველებაა. ზედიზედ ეშვებიან აეროდრომზე სამეჯერო ხომალდები, რომლებსაც ჩამოჰყავთ საქართველოს დედაქალაქის სტუმრები. 4 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების შვიდი შტატის გუბერნატორთა შესახვედრად აქ მოვიდნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. მათ შორის იყვნენ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. ს. ვამაკიძე, სრულიად საკავშირო აქციონერთა საზოგადოების „ინტურისტის“ საქართველოს განყოფილების მმართველი ვ. ი. ფალავანდიშვილი და სხვ.

თვითმფრინავი დაეშვა. ფლორიდის შტატის გუბერნატორმა ლეროი კოლინსმა შემხვედრებს წარუდგინა გუბერნატორები ჯ. ალაიდი (იუტის შტატი), ჯ. დევისი (ჩრდილოეთ დაკოტის შტატი), ს. მაკნიკოლსი (კოლორადოს შტატი), რ. მეინერი (ნიუ-ჯერსის შტატი), რ. სმაილი (აიდახოს შტატი), ლ. ხოჯასი (ჩრდილოეთ კაროლინის შტატი).

მიმართა რა აეროდრომზე დამსწრეებს, გუბერნატორთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ლ. კოლინსმა თქვა: ჩვენ მეტად მოხარული ვართ საქართველოს დედაქალაქში ჩამოსვლით. გუბერნატორმა ჯ. კლაიდმა შენიშნა: რა შესანიშნავი ამინდია, როგორი მთები,